

180  
1962/3

1961

12

საბჭოთა  
ხელოვნება

---

მთავარი რედაქტორი—თორე ვეაძე

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი, გელა  
ბანძელაძე, კარლო გოგოძე, ალექსი მაჭავარიანი, ნათელა  
ურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე, დიმიტრი ჯანელიძე, ვანო  
წულუკიძე.

# საბჭოთა ხელოვნება

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
ყოველთვიური ჟურნალი



12

სახელწიფო გამომცემლობა „საბოთა საქართველო“

თბილისი

1961



8520



ალ. გრიბოედოვის ძეგ-  
ლი თბილისში  
მოქანდაკე მერაბ მე-  
რავიძის მიერ

გ. ნამუშევარი 196  
წლისთვის წარდგინ-  
და ლენინის პრე-  
მიისათვის

# ქვეყნიანობის ანგარიშის საკითხი

## შალვა კვასცაძე

ქართული სურათმომღერების ისტორია არა ერთსა და ორ მავალით ვგადავლევ იმ ტრადიციისა, რაც არქიტექტურისა და ლანდშაფტის მხატვრულ ურთიერთობაში იხატება. ქართული არქიტექტურა ამ მხრივ აჯიღილებს მოყოლობითი ფორმებისა და გარემომცველი ბუნების ერთმანეთთან შემაბამის ბრწყინებულ მანერებულად, ვიტყვოდით, კლასიკურ მავალითადაც კი.

მონუმენტური ქანდაკებისა და გარემოს კომპოზიციური გაანგარიშისა და სინთეზის საკითხში ქართული მოქანდაკეობა და არქიტექტორები დღესაც სწორითა ამ კარაობიანობიან უნდა ამოვიდნენ და შეივადონ გაბოყიანონ იგი ახალი საქალაქო მშენებლობის პრინციპებთან შეთანხმებით.

ამ თვალსაზრისითაა გათავსებული ახალგაზრდა მოქანდაკის მერაბ მერაბიშვილის ნამუშევარი — ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვის მონუმენტი.

დიდ რუსი ორმაკურებისა და სასოჯაოდ მოთავსის ალ. გრიბოედოვის ცხოვრება, როგორც რწმობითა, მჭირითაა დააკავშირებოლი მიცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოსთან.

1829 წლის 17 ივლისს ა. გრიბოედოვი მოაწვიოს მიწის მიმართ. ქართველმა მიწამ მიიღო სიკრძალოთი დავილი მოთავსის ნიშით. ქართველმა ხალხმა მიაყიოთა იგი საოლაგის კარამო ლა ქართლიშა ქაომა ოლოტირა მისი ცხეოარი.

ნიწო ჰაგაგაძემ და მისმა მამამ, პოტიტა აოიქანორე ჰაგაგაძემ, მრბაოლი ათაოიო წლით აორე, ვიორე იბას რუსიწოთი ადირბომინე, გრიბოედოვის მოთავსობას საიგარო უსესრ და ისტორიულად სწორი შეთავსება მისცეს. რიგა მისი სადლოაჟი დაწარის: „Ум и дела твои бессмертны в памяти русских“...

1832 წლის შეოქმულების დამარცხების ეპოქაში, როდესაც საქართველოში მიფეს ხელისუფლების მიერ გამოთხანლებლობი დეკაბრისტები თავიანთ უკანასკნელ დღეებს ითავლიდნენ, როცა რილევის, რადიშვილისა და დეკაბრისტების იდეებით შეავგონებოლი სილომონ დოთაშვილი, ალექსანდრე ჰაგაგაძე და სილომონ რაზმაძე რუსამბოიკური ითებებისათვის ისხვეოდნენ და მრალდებულთა სკაემბლე ისხდნენ. გრიბოედოვის სადლოაჟე აღმინართა ძეგლი, რომელიც განსაზღვრავდა მწერლისა და მოღვაწის დაშსახერებას რუსეთის ისტორიაში, პირველად აკუთვნებდა საქვეყნოდ გრიბოედოს მის ნამდვილ ადგილს.

ქართველი ხალხი გრიბოედოს იმთავითვე თავის საყვარელ შვილად რაცებდა. და გასაგებია, რომ მწერლის ნეშტი ქართველ მოღვაწეთა პანთეონში განსხვავდება.

ამიტომაც ბუნებრივია, რომ გრიბოედოვის გართავალეობიან 140 წლის შემდგომ, დიდი რუსი მწერლის მონუმენტი საბჭოთა კავშირში პირველი, თბილისში აღმინართა.

ძეგლის ავტორი, ახალგაზრდა მოქანდაკე, მირაბ მერაბიშვილი გრიბოედოვის მონუმენტის შექმნასუ რამბონიშე წილს მუშაობდა. ეს თემა მან პირველად თავის საბოლოოში შრომის მიზნად რა... და გაითავსისწინა რა მისი მინიშნულობა და მხატვრული კომპლექტაკა მოქანდაკე მას კვლავ დაუბრუნდა აკაოობის დამთავრების შოიოი.

ეს ნაწარმოები მხატვრის შეავლინობოლი შემოქმიოებითი ძიების ნაყოფია. თბილის ღრმა და ყოიოლმირიი შისწარიას იდეოია. იგი ახალგაზრდა მოქანდაკის შემოქმედების სიწიფეს ადასტურებს.

ა. გრიბოედოვის ძეგლში, უბრეველეს ყოვლისა, ყურად-

ღებას იქვეებს მონუმენტის ყოფილობრივი (ფიგურის კომპოზიცია, პიფიქალი, მოედნის გეგმა და ხედი სამი მხრიდან) გააზრების მთლიანობა.

ძეგლის საერთო კომპოზიცია — თიჯრის დაყინბა. მსსშტაბი, მოძრაობის გააზრება, თემის შინაარსის ექვილიბანრება და როგორც არქიტექტონიკურად, ისე კომპოზიციურადაც შენანინაგად აკავშირებს მონუმენტს მოაწვიობასთან. გრიბოედოვის თიქრბა და ატკაემების საგანთან, მის უკანასკნელ განსახეინობულ საგანსთან.

ღრმა გააზრებისა და მისი გარემოსთან ამჯარო დაკავშირების წყალობით ფიგურას დიდი გამოშსახველობითი ძალა აქვს.

ფიგურის დაყენებაში, მის პოზსა და გამოშეკაყოლბაში, მოქანდაკე ყოვლიანდგენს პოეტიურ ბუნების, მაგარამ ამათთან ძლიერი ნებისყოფის ადამიანს... სხეულის ძალდაუტანებელი, თავისუფალი მდებარეობა პოეტიურ შთავგონების ძალითაა აღსავსე. პორტრეტში მოქანდაკე გრიბოედოვის შინაგან ბუნებასთან ერთად, მხატვრული სიმაოლოთი გადმოსცემს მისასხის იცონებრავდასაც. ამავე დროს პოტიკის სასხეუ თვალსაჩინოდ გამოჰრისთს „ეკა ჭკუისკანა“ ავტორის დამახასიათებელი გაწყობილება, მისი ფინიშელი გონება. მაყურებლს ნინაშე ცოცხლებდა გრიბოედოვის თანამედროვეთა მიერ დასტული სახე მწერლისა, მისი თავდაჭერის მანერა.

გრიბოედოვის გარენობაში თითქოს იმ ნინიშხბაც ფედავით, რომელიც პოტიკის მუსიკალურ ნიჭზე მუთუთებენ. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ხელის მტევერში. მთლია ფიგურა უარვესად პლასტიკურია და ყოველი მხრიდან გათლსახეიო.

ტანსაცმლის დრამირება კარგად ავლენს სხეულის ფორმებს, ეგუება ბრინჯაოს მასალის ხასიათს, მეტყველი და ფაქტურულია.

ა. გრიბოედოვის ფიგურის ანფსი, პროფილი აუ სამი მეთოსხედი ერთნართად კარგად აღიქმება და ფიგურის ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციის ფართო საშუალებას იძლევა.

ალანინაგია ისიც, რომ ახალგაზრდა მოქანდაკის მსსშტაბისა და პროპორციების ღრმა გრწნობა აქვს. ეს ჩანს როგორც თვით მონუმენტში, ისე მისი ადგილისა და მთლიანი არქიტექტურული ანსამბლის ერთობლივად გააზრებაში. არქიტექტურულ მასათა პორინობტალები, რომლებიც შენობათა საინთია მიცემული, სრულიობაც არ უშლის სულ არც მხატვრულად და არც სხვა მხრივ, მონუმენტის ვერტიკალურ ექვენტს. მორგეს მხრივ, თვით მონუმენტის ვერტიკალი სრულეობით არ ანდლებს მისი გარემომცველი არქიტექტურული პორინობტალური მოტივების მკარნობას, თნალობასა და სიმშედებს. გამოშსახველი და მკარნობა ამ მონუმენტის სილოტიკა.

ქართული მონუმენტური ქანდაკება ძალზე ახალგაზრდაობა, მაგარამ, მიუხედავად ამისა, იგი საბჭოთა კავშირის ხალხთა სახეთი ბრედონების ერთ-ერთი მთავარი, წამყვანი დარგია და მთინავე ადგილი უჭირავს. ქართველი მოქანდაკეთა უფროსთაბის ამ საქმეში არც ახალგაზრდა მოქანდაკეინ ჩამორჩებიან, რომლებმაც ჩვეინ მონუმენტური სკულპტურა განვიტობების ახალ საფეხურზე აიყვანეს.

ა. ს. გრიბოედოვის მონუმენტის ავტორი მირაბ მერაბიშვილი სწორედ ახალგაზრდა მოქანდაკეთა ამ პლყაოს მიეკუთვნება. მათ ბიერი გამარჯვებით მავაჯარეს და ერთ-ერთი ასეთი საყურადღებო გამარჯვებაა მტკვრის სანაპიროზე აღმართული ეს ძეგლი.



იდეოლოგიურ საკითხებზე მოწვეული საკავშირო თათბირის პრეზიდიუმი

სკკპ XXII ყრილობის შემდეგ

# იდეოლოგიური მუშაობა ახალი ამოცანების ს ი მ ა ლ ე ზ ე

პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებები კვლავ მთელი პროგრესული მოსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. პარტიის პროგრამა, ჩვენი ეპოქის კომუნისტური პარტიის მანფესტოა, რომელსაც მთაგონებით ეწაფებიან ადამიანები, რათა უფრო ნათლად დაინახონ და ახლო შეიხედონ კომუნისტების დიადი სხაილიდელი დღე, რომელშიც სიამაყითა და მაღლიერების გრძობით იცხოვრებს ჩვენი ახლანდელი თაობა.

პარტიის XXII ყრილობა გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ჩვენს ეპოქაში, იგი მოსოფლიოს ისტორიის განვითარების გვიანტურით თარიღია, რომელსაც საფუძვლად დედო ნ. ს. ხრუშჩოვის ღრმა მეცნიერული მოსწებებები კომუნისტური მშენებლობის ახალი, უჩვეულო აღმავლობისათვის. ნ. ს. ხრუშჩოვმა კიდევ ერთხელ გადაშალა მშობელი ხალხის წინაშე შრომის, მშვიდობის, თანასწორობის, ძმობის, ყველა ქვეყნის ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლის დიდი პროგრამა.

დღეს კომუნისტური იდეალებისათვის მებრძოლი სამყარო უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე. დიადმა რევოლუციურმა ძალებმა გადაწყვეტი ცვლილებით შეიტანეს ჩვენს პლანეტაში. ოთხიოდე ათეული წლის წინათ სოციალისტური ბანაკი დედამიწის ტერიტორიის მხოლოდ 16 პროცენტს წარმოადგენდა, ამჟამად კი ერთ მეოთხედზე მეტია. სოციალიზმის გზით მიემართება მილიარდზე მეტი ადამიანი. ადრე თუ გვიან ამ გზით. სოციალისტური საზოგადოების გზით წავლენ ყველა დანარჩენი ადამიანებიც, რადგან კომუნისტური არის ყველაზე

პროგრესული საზოგადოება ადამიანების ურთიერთობის გასაშლად, ფიზიკური და ინტელექტური შესაძლებლობების წარმოუდგენლად გასაფრქვინად.

კომუნისტების საქმე წინ მიიწივს ჭეშმარიტად გოლიათური ნაბიჯებით, — ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — კომუნისტების მედროშეებმა მარქსისტულ-ლენინურმა პარტიებმა დაამტკიცეს, რომ ისინი არიან პარტიები რევოლუციონერ-ნოვატორებისა, სახალხო ბედნიერების გამომწვეველნი. ყველა ქვეყნის მოწინავე ადამიანები ყველაზე კარგს, ყველაზე ნათელსა და პროგრესულს კომუნისტურ პარტიას უკავშირებენ. კომუნისტების ძალები ულივია. კომუნისტების მხარეზეა ცხოვრების სიმაართლე, ისტორიის ჭეშმარიტება.

მით უფრო უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა კომუნისტების მშენებლობის მეცნიერული მოძღვრების თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლების შემდგომ დაუფლებას, იდეოლოგიური მოშაობის ახალ სიმაღლეზე აყვანას, რათა კიდევ უფრო მოგაახლოვოთ კომუნისტების სრული გამარჯვების ვადები, დავაჩქაროთ კომუნისტური შეგნებით აღსაყვე სრულყოფილი ადამიანების ჩამოყალიბება, კომუნისტების მორალური კოდვესით მოქმედი საზოგადოების შედგომა განმტკიცება.

სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოსკოვში კრემლის სასახლეში ჩატარებული საკავშირო თათბირი იდეოლოგიურ საკითხებზე, რომელმაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა



მეცნიერულ სიმდიდრეს და დასასა კონკრეტული ღონისძიებები კომუნისტების მშენებელ მასებზე იდეოლოგიური ზემოქმედებისა და ზეგავლენის ცხოველყოფილობის პრაქტიკულად ასამაღლებლად.

ჩვენი დიდი ქვეყნის იდეოლოგიურ მუშაკთა დიდი თათბირი დღევანდელ კრულში, გიორგიევსკის დარბაზში. იგი შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნიკიტა ხრუშჩოვმა. თათბირის მონაწილეები მსურველად მიესალმნენ ახრ. ნ. ს. ხრუშჩოვს და მისი სახით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ პრინციპად, ვისი მეთაურობითაც ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს საბჭოთა ხალხი კომუნისტების გაშლილ მშენებლობაში.

— სრულდება საკავშირო თათბირი იდეოლოგიური მუშაკთა საკითხებზე მოიწვია პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რათა განიხილოს სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებიდან და პარტიის ახალი პროგრამიდან გამომდინარე ამოცანები იდეოლოგიის დარგში, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობს 1300 ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებიდან და ცენტრალურ დაწესებულებათა დასახლებით 1400 მუშაკი. აქ წარმოდგენილია იდეოლოგიურ მუშაკთა მრავალათასიანი არმიის ყველა რაზმი — მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტის, სახმარეთ კომიტეტებისა და საოლქო კომიტეტების მდივნები, რომლებიც იდეოლოგიურ საკითხებზე მუშაობენ. პროპაგანდას და აგიტაციის, მეცნიერების, კულტურის განყოფილებათა გამგეები, ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელები, ადგილობრივი და ცენტრალური გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობათა რედაქტორები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, რადიოსა და ტელევიზიის, უმაღლესი და საშუალო სკოლის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები, რიგითი პროპაგანდისტები და აგიტატორები.

ასეთი დიდი და წარმომადგენლობითი თათბირი პირველად არის მოწვეული. სკკპ ცენტრალური კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ თათბირს — ხაზგასმით აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

მოსხენებისათვის — სკკპ XXII ყრილობა და პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები — სიტყვა მიეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ახლ. თ. ილიჩოვს.

თავისი მოხსენების დასაწყისში ახლ. თ. ილიჩოვი აღნიშნავს, რომ მიუღო მსოფლიო პოლიტიკური ატმოსფერო, მაშინ თანამედროვე პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლა გამსჭვალულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის იდეებით. ეს იდეები ყოფილიყვნენ, იმტომ, რომ სწორია და გამოსატყვენ ასობით მილიონობით შრომის ადამიანს ფიქრებს, გრანობებს და ღირსეულად აგვირგვინებენ რევოლუციური ბრძოლის დიად გზას „კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამამდე, რომელსაც ზუსტად და სამართლიანად ეწოდა თანამედროვე ეპოქის კომუნისტური მანიფესტი. ახლ. ილიჩოვმა მოხსენებაში ხაზი გაუსვა, რომ XXII ყრილობამ, რომელმაც პარტიის მესამე პროგრამა მიიღო, დასაბამი მისცა საზოგადოებრივი პროგრესის ახალ ეტაპს — კომუნისტების პრინციპების უმაღლად განსრცილებისათვის ბრძოლის ეტაპს. საბჭოთა კავშირი ახლა შეიდა განვითარების ახალ ხანაში

და ეს უდიდეს ცვლილებათა დაღს ასევე ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის — იდეოლოგიურსაც. ამ სფეროს მუშაკების წინაშე დგას გაცვლებით მაღალი მოთხოვნები, ვიდრე იღვა ოდესმე წინათ. მშრომელთა, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდა თათბის კომუნისტური აღზრდის საკითხები უნდა იყოს პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა საზოგადოებრივის საქმიანობის ცენტრში.

მოსხენებაში მნიშვნელოვანი ადგილი მიძღვნა პარტიის ლენინური კურსის, მისი გუნერაღიერა ხაზის გამარჯვების, რომელიც XX ყრილობამ განსაზღვრა, სადაც პარტიამ უარყო სტალინის პიროვნების კულტი, დააღვა პიროვნების კულტის ნაშთების დადაღვების გადამწყვეტ კურსს. მიუღმა საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად მიირონა და აქტიურად დაუჭირა მხარი პარტიის ლენინურ პოლიტიკას. XX ყრილობის პოლიტიკური ხაზის სისწორე თვით ცხოველად დადასტურდა. ის ფაქტი, — ამბობს ახლ. ილიჩოვი, — რომ პარტიამ საქმით განახორციელა თავისი დიდი ხნის განზრახვა და შექმნა ახალი პროგრამა, ადასტურებს მისი პოლიტიკური კურსის სიციხეოფლესა და ძალას. შეუძლებელი იქნებოდა შეგვემუშავებინა ახალი პროგრამა, რომელიც თანამედროვე საზოგადოებრივ-მეცნიერული აზროვნების უმაღლეს მიღწევას გამოხატავს, რომ არ ყოფილიყო მოპოვებული ახლანდელი წარმატებანი კვონშიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში, სრული მიცულობით რომ არ ყოფილიყო აღდგენილი და განვითარებული ლენინური სტილი, ლენინური მიდგომა ახალი საზოგადოების შექმნისათვის რევოლუციური ბრძოლის თეორიისა და პრაქტიკისადმი. პარტიის საქმიანობის ყველაზე დაბასასათებელი ნიშანი მას შემდეგ, რაც აღდგენილი იქნა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები, გასდა პრაქტიკისა და თეორიის ნამდვილი ერთიანობა, მილიონების გამოცდილების დაფასების უნარი.

პიროვნების კულტი, — აღნიშნავს ახლ. ილიჩოვი, — მავნე შედეგები ქჷნდა და უარყოფით როლს ასრულებდა პარტიის, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. მაგრამ პარტია პიროვნების კულტის ეთარებაშიც ი მოქმედებდა როგორც ცოცხალი შემოქმედებით ორგანიზმი. ვერავითარი პიროვნების კულტი ვერ შეარჩებოდა საბჭოთა საზოგადოების წინსვლით განვითარებას, ვერ შეცვლიდა სოციალისტური წყობილების ბუნებას, რომლის გადაწყვეტიც მამორავებელი ძალა ყოფილების იყო, არის და იქნება მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები. ვერავითარი პიროვნების კულტი ვერ შეცვლიდა რევოლუციური მსოფლმხედველობის არსს, ვერ შეაყვდა ჩვენი პარტიის ორგანიზაციულ, პოლიტიკურ და თეორიულ საფუძვლებს, პარტიისა, რომელიც შექმნა და რევოლუციური სულისკვეთებით აღზარდა დიდმა ლენინმა.

ახლ. ილიჩოვი შემდეგ ამბობს, რომ საჭიროა აღსდგეს და განვითარდეს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ლენინური პრინციპები. ეს პრინციპები ნიშნავს მაღალ კომუნისტურ იდეურობას, მტრული იდეოლოგიისადმი შეურთებლობას, თეორიის და პრაქტიკის, სიტყვისა და საქმის ერთიანობას. რევოლუციური თეორიის შემოქმედებით გამოყენებას და განვითარებას, უნარს ფართო მასების პოლიტიკური განათლება, მარქსისტულ-ლენინური წრთობა გაავრთიანონ მათ ორგანიზაციასთან საარსებო პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების გადასატყვალად.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ იდეოლოგიურ მუშაობაში მთავარია სკკპ პროგრამის ღრმად განმარტება, რომ XXII



ყრილობის მასალების განმარტება პარტიის მიერ იდეური ცხოვრების საფუძველია. იდეოლოგიური მუშაობა აყვანილი უნდა იქნეს თაყაყლოვებ ვეზაბის დიოქე მარქსიზმ-ლენინიზ-ში გაივითარებაში, საფუძით უნდა შეესაბამებოდეს კომუნის-ტური მშენებლობის ახლანდელ პერიოდს, მასების გაზრდილ სულიერ, იდეურ მოთხოვნებებს. იდეოლოგიური მუშაობა აყვანილი უნდა იქნეს პოპულარულ გეგმების დონეზე, რომელსაც პარტია და ხალხი ახორციელებს, მან იდეოლოგიურად უნდა უზრუნველყოს კომუნისტური მშენებლობის ძირითადი ათვისებით უსაბატონოებელს.

თავის მოხსენების ვრცელ ნაწილში ა. შ. ილიჩოვმა ცხად-ყო იდეოლოგიური მუშაობის დიდი როლი კომუნისტი მშენებლობის წინადასრულების გადაჭრაში, რომელიც X XII სებლობაში უთავიანა — კომუნისტი პარტიის დარის შექ-მისა, კომუნისტური საზოგადოების ურთიერთობის ფორმირება და ახალი ადამიანის აღზრდა. ყველა ეს ამოცანა, — აღნიშნავს მომხსენებელი, — ურთიერთ, დაკავშირებულია და ერთმანეთს განაპირობებს. საფუძვლიანად შეეხო რა კომუნისტიზმისათვის აქ-ტიურ და მასაც შეუძლია აღზრდის საკითხებს, მომხსენებ-ელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია მთავარი ყურადღება მიექცეს და გამოიყოს სამი მიმართულება: პირ-ველი — მეცნიერული, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედ-ველობის ჩამოყალიბება, მეორე — ხალხთა მასების აღზრდა კომუნისტური მთლიან სულისკვალებით; მესამე — ბრძოლა ბუფუფიზმული იდეოლოგიის წინააღმდეგ. მომხსენებელმა აღ-ნიშნა, რომ ამ ამოცანის გადაჭრისას პარტია მოუწოდებს იდეოლოგიურ მუშაკებს არა თავდაკეცისათვის, არამედ შექმ-ნისათვის იდეოლოგიურ ფორმებს.

საჭიროა გვაგაქტივოთ და ჩვეულებრივ იდეოლოგიური მუშაობის ყველა ფორმა და საშუალება. პარტია შეიმუშავა მასებზე იდეური გავლენის, მათი კომუნისტური აღზრდის მწყობრი სისტემა და ვეჭვებიანი საშუალებანი. პარტიის იდე-ოლოგიური მუშაობის საფუძველია მასების პოლიტიკური გა-ნათლება. ჯერ კიდევ ორი-სამი წლის წინათ პარტიის თეო-რიას, პოლიტიკას და ისტორიას ორგანიზებულად სწავლობდა ხუთი-ექვსი მილიონი კაცი. ახლა ოც მილიონზე მეტი კაცი სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმს, მათ შორის ნახევარზე მეტი უპარტიაო. მთავარი პოლიტიკურ განათლებაში ის არის, რომ კვლავაც განვახორციელოთ მტკიცე კურსი, რათა განვაძლიერო-ცთ პოლიტიკური სწავლების კავშირი ცხოვრებასთან, გვა-ვარითოთ პოლიტიკური განათლების ჩარჩოები და ავაბად-ვოთ მისი მშვენიერება, განვაერთოთ სწავლების შემოქმედ-ებითი და მშვენიერებელი, უწინარეს ყოვლისა, სემინარული ფორმები.

შეეხო რა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და მეცნიერუ-ლი ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობას, საეკიტა-ციონ-მასობრივი მუშაობის გაძლიერებას, უწინაშეწოდების მიმართულებებს პრესის საქმიანობაში, მომხსენებელმა ხაზ-გასმით აღნიშნა, რომ პრესის ამოცანაა მთელი ძალით, მთელი თვისი ტალანტით, უნარით, პარტიული გეგმებრებით ხალხ-თან ერთად იბრძოლოს კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელებისათვის.

მომხსენებელმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ლიტერა-ტურისა და ხელოვნების მხარე როდის კომუნისტური მსოფლ-მხედველობისა და მორალის ჩამოყალიბებაში. ხელოვნება და

ლიტერატურა მოწოდებულია კომუნისტური აღზრდის ამოცანას, გადაჭრას თავიანთი სპეციფიკური საშუალებებით, გაიბატონ-ადამიანი მხატვრული იოხასაგების სიმართლითა და სილამა-ზით, გაუღვივოს მას სურვილი არა მარტო იცხოვროს უკეთე-სად, არამედ იყოს უკეთესი.

პარტიის XII ყრილობამ მაღალი შეფასება მისცა ხე-ლოვნებისა და ლიტერატურის მიღწევებს, მიიჩნია ეს მნიშ-ვნელოვან ეტაპად კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში. მაგრამ სოციალისტური სინამდვილე ბევრად უფრო მდიდარია, ვიდრე იგი მოცემულია ზოგიერთი მწერლისა და მხატვრის კიბისა და თვატყის მიღვაწეთა ნაწარმოებებში. ხაზი გაუსვა რა ხელოვნებისა და ლიტერატურის დიდ აღმზრდელი ძალის როლს, მომხსენებელი შეუერთა ზოგიერთი ახალგაზრდა შე-მოქმედის ნაწილობით არასწორ ტენდენციებზე. კერძოდ, მან ილაპარაკა, რომ პრესამ სამართლიანად გააკრიტიკა ე. აკისონ-ივის ახალი რომანი და ვ. როზოვის სცენარი „ა. ბ. გ. დ...“ ახალგაზრდა ადამიანების რაბოხასათივითი დინამი, რომე-ლიც აღწერილია ე. აკისონივისა და ვ. როზოვის მიერ, არის სკეპტიციზმი. ავტორები კი არ ახელოვნებენ მას, არამედ თა-ნაგრძობითი ემყობიან. თუმცა ეს სწორედ ის სკეპტიციზმია, რომელიც ქვეყანაზე ყველაფერს ეჭვს ქვეშ აყენებს. ოდესღაც ძალიან კეთილად თქვა ბ. გ. ბელინსკიმ იმ სკეპტიციზმზე, რომ-ელიც უარყოფდა სინამდვილეს მხოლოდ და მხოლოდ უარ-ყოფისათვის. „მხოლოდ პაწინა ქეჭა, — ამბობდა დიდი კრიტიკოსი, — სულიერი აზარაობანი თავს იწონებენ სკეპ-ტიციზმით, როგორც მიღწერილ ტანსაცმელი, თავს იქებენ იმით, როგორც დამახსურებთ. მხოლოდ უწინა ბრძობის ოინ-ბაზები და ტაი-მასხარანი, მხოლოდ ისინი ეჭვდებანი ყველა-ფერში ადვილად და მხიარულად ერთობიან, მაგრამ როდო სტიკიანი გული... აბა რა დამახსურება ყველაფრის დაცინვა და ყველაფრის ლანდვა — მეცნიერებისაც, აზროვნებისაც და ხელოვნებისაც?“.

ბელინსკის ეს სიტყვები უდავამოჭრილია ზოგიერთ იმ შემოქმედზე, რომლებიც ცხოვრებაში დასაცინისა და გასაკი-ლის მტკარას ხედავენ.

სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება უდრესად დიდ შესაძლებლობას უზსნის შემოქმედებით ინიციატივას მაღალი ოსტატობის, მხატვრული ფორმების, სტილისა და ჟანრის მრავალფეროვნების გამომხატობისათვის. მაგრამ ნოვოტო-რული ძიებანი ფორმალისტურ ჯამბაზობად არ უნდა იქცეს, რომელიც ყოველთვის რჩებოდა პრეტენციოზულ მეშინაური უგებუნების გამოვლენებად.

პარტიული ხელმძღვანელობა, პირველყოვლიანა, არის იდე-ური ხელმძღვანელობა, — თქვა ლ. თ. ილიჩოვმა, დარწმუნების, განამარტების, ამხანაგური დამოკიდებულების მეთოდის არის პარტიული ხელმძღვანელობის ძირითადი მე-თოდი. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გულხელდაკბრფილი ვიდე-გეთ, არამედ მოვალენი ვართ აქტიურად ვიბრძობით ჩვენი მსოფლმხედველობის სიწმინდისათვის როგორც ლიტერატურა-ში, ისე ხელოვნებაში, ჩვენი დიდი რეალისტური ტრადიცი-ებისათვის, განვაერთოთ და განვაძლიეროთ ისინი. ჩვენი ხელოვნებაში და ლიტერატურაში უნდა შეიქმნას ახალი ღრმა იდეური და მაღალმხატვრული ტილოები, ნაწარმოებები, რომ-ლებიც აისახება დიდ ლენინის იერსაზე.

პარტია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო ხელი შეუწავოს ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევებს





დაკისრებული შემოქმედებითი მოვალეობის შესრულებაში. მხატვრული ინტელიგენციისადმი ღვინისური დამოკიდებულების მშვენიერ მაგალითის იძლევა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ნ. ს. ხრუშჩოვი. ნაკლოვანებათა მწვავე კრიტიკა, უცხო არა-სწორი ტენდენციებისადმი შეუვრებელი ბრძოლა ყველა მის გამოსვლაში ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე ორგანულად შესამუშავლია ყოველი საბჭოური მხატვრის ბედზე ზრუნვისათვის, იმის სურვილისადა, რომ დაეხმაროს სწორ გზაზე გამოვიდეს მის მხატვარი, ვინც დღეშია შეცდილობს და დაინანი.

თათბირზე გაშლილი კამათში მონაწილეობა მიიღეს მოკავშირე რესპუბლიკების, ოლქებისა და ქალაქების პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, შემოქმედებითი გაერითანების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა, რიგითმა პროპაგანდისტებმა, ჟურნალისტებმა და ლიტერატორებმა. მათ გამოსვლებში წითელ ზოლად არის გავლენილი ის აზრი, რომ იდეოლოგიურ მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამჟამად, როცა ჩვენი ქვეყანა შევიდა განვითარების ახალ ეტაპში — კომუნისმის პრინციპების უმუშაოდ განხორციელების ბრძოლის ეტაპში.

კამათში სიტყვით პირველი გამოვიდა პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. გ. ვგორჩინევი, რომელმაც აღნიშნა, რომ ერთ მილიონ შეიდასი ათასზე მეტი მოსკოველი სწავლობს ახლა სკვპ X XII ყრილობის მასალებს პარტიული განათლების სისტემაში.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. დ. სკაბამ აღნიშნა, რომ უკრაინაში მართო პარტიული განათლების ქსელში X XII ყრილობის მასალებს სწავლობს დაახლოებით 4,5 მილიონი კაცი, სკვპ X XII ყრილობის იდეები მატერიალური ძალა გახდა კომუნისმისათვის ბრძოლაში.

როგორც ბელორუსიის კომპარტიის ცვ-ს მდივანმა ვ. ფ. მაურომ თქვა, რესპუბლიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცვ-ს მდივანი დ. გ. სტურუა შეიწერდა იმ დიდ აღზრდლობით-პოლიტიკურ მუშაობაზე, რომელსაც ატარებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია. მან დახატა რესპუბლიკის მასების ახალი შრომითი აღმავლობის სწორი სურათი, ხაზი გაუსვა უმაღლესი სკოლების ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცებას, ახალგაზრდა მუშების მიერ საწარმოს მოწყვეტლად უმაღლესი განათლების მიღების საკითხის მოგვარების საჭიროებას. დღეი სტურუამ თათბირის ყურადღება გაანახილა უცხოური კინოპროდუქციისა და რუსულ-საბჭოური გადმონათლების წინააღმდეგ ქმედითი ბრძოლის გაშლა-გამოღობების აუცილებლობაზე.

— ჩვენი შევიძლია მოვახსენოთ თათბირს, — განაცხადა დ. სტურუამ, — რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია

წარმატებით გაართმევს თავს დაგვლებას. ამის ნათელი დადასტურებაა პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, რომელიც გამომიწევა რესპუბლიკის მშრომელებში პარტიის X XII ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა. რესპუბლიკის კომუნისტები, — თქვა ორატორმა, — უმთავრეს ამოცანას ხედავენ იმაში, რომ დროულად შეამჩნიონ ყოველივე ახალი, მოწინავე, აღზარდონ ადამიანები შრომის ატმოსფეროში, საზოგადოებრივი მეურნეობის წარმოების მოწინავე მაგალიტებზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდობის შრომითს აღზრდას. უკანასკნელ ხასს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში სამუშაოდ მივიდა 30 ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი. 11 ათასამდე ახალგაზრდა ენთუზიასტი კომკავშირული სახეობებით გაემგზავრა გვეყვის მნიშვნელოვან მშენებლობაზე, — განაცხადა დ. გ. სტურუამ.

მხატვრული იდეოლოგიის მინიშნელობის შესახებ სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები ე. ს. სობოლვეი, ა. ა. სურგოვი, ს. ვ. მისალაოვი, კინორეჟისორი ს. ა. გერასიმოვი, მხატვარი ვ. ა. სეროვი, კომპოზიტორი ტ. მ. სრენიკოვი, მასხაობი ბ. ა. სიმონოვი, ჟურნალისტები ა. ბ. ჩაკოვსკი, იური ვორონოვი. გასულ „პრავდის“ მოავრმა რედაქტორმა პ. ა. სატუკოვმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებათა შედეგად შეიქმნა ტალანტების აყვავების, ხელოვნების, ლიტერატურის, პრესის აღმავლობის შესანიშნავი პირობები. მან ილაპარაკა დიდ მუშაობაზე, რომელიც შეასრულს საბჭოთა ჟურნალისტებმა პარტიის X XII ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისათვის.

ლ. თ. ილიჩოვმა შეაჯამა რა დისკუსიის შედეგები, თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნა, რომ თათბირზე გაიმართა საქმიანი, შემოქმედებითი აზრთა გაზიარება იდეოლოგიური მუშაობის ძირეულ საკითხებზე. თათბირმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის ყველა სახეობის იდეოლოგიური იარაღი საბრძოლოდ სავსებით გამზადებულია.

საქართველოს ხელოვნება და ლიტერატურა ამოცანა დრმად შეისწავლინ პარტიის X XII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი. მხატვრული შემოქმედება იდეოლოგიური ბრძოლის იარაღია, კომუნისტური გაშლილი მშენებლობის მნიშვნელოვანი უზანია, რომელიც ყოველდღიურად პარტიული ხელმძღვანელობის ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს. ქართული ხელოვნება — თეატრის, კინოს, მუსიკის, სახეითი ხელოვნების, ტელეხედვის, რადიოსა და გამომცემლობების მუშაკები კვლავაც არ დაზოგვენ შრომას და ძალღონეს, რათა თანხორციელდეს X XII ყრილობის მოწოდება, — ორი ათასი წლის შემდეგ აღსაწვდომი თათბამ იცხოვროს კომუნისმში.



საქართველოს სსრ სამრეწველო გამოფენის შესასვლელთან

## ახალი წლის კარიგვისთან

ნანა კანდელაკი

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა თბილისში, ვისაც ერთხელ მაინც გაუვლია მისი პოეტური მომხიბვლელობით სასვე ქუჩებში, თვალი შეუვლია ირგვლივ შემოჯარული გუმაგვებით ამაყად აღმართული მთებისათვის, ან თუ გადმოუხედავს დამით მთაწმიდიდან და ელნათურებით გაჩირადღნებული ქალაქისათვის შეუხედავს. — ის ვერ დაივიწყებს მის განუყოფრებელ, თვითმყოფად სილამაზეს და ნატვრად დარჩება გულში, კიდევ იხილოს საქართველოს ეს მსცოვანი და მარადის ახალგაზრდა დედაქალაქი — პატარძალივით ტურფა თბილისი!

1500 წლისა თბილისი!.. რომ იტყვიან, წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა მის თავზე, თორემ არ დაკლებია არც დარბევა, არც ნგრევა, არც სტიქიური უბედურება, არც ეპიდემიები... ვის არ უთარეშია ამ ქალაქში, ვის არ უცდია მისი დამონება!.. ცეცხლითა და მახვლით ლამობდა ყველა ჯურის დამპყრობი ქართველობის გადაშენებას, ქართული ვინის ამოძირკვას, მაგრამ გულადი, ამაყი და თავგანწირული ხალხი არ ნებდებოდა. რაც უფრო მეტად მძვინვარებდა მტერი, მით უფრო ძლიერდებოდა ქართველთა სიძულვილი მტრისადმი და სამშობლოს წმიდათა-წმიდა დედაქალაქის სიყვარული. და აკი ამ უსაზღვრო სიყვარულმა გადაარჩინა დაღუპვას საქართველოც და მისი დედაენაც.

1921 წლის თებერვალში, რუსი ხალხისა და მოძმე ხალხების უანგარო დახმარებით, საქართველოში საბჭოთა ხელი-სუფლება დამყარდა. საქართველოს თავზე აფრიალდა წითელი დროშა — სიმბოლო თავისუფლებისა, ერთა თანაწირობისა და მეგობრობისა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით

ქართველი ხალხის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო და საქართ-ლო შეუდგა შემოქმედებით, მშვიდობიან ცხოვრებას.

არ დარჩა არც ერთი დარგი ქვეყნისა კულტურულ თუ სა-მეურნეო სფეროში, რომელშიც სასოცარი ძვრა და გარდატეხა არ მოხდინოთ საბჭოთა ადამიანებს. ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან, საქართველო გადაიქცა მძლავრი მძიმე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად. ერთიანი ნაბიჯით მიჰყვება საქართველო ხალხმრავალ ძმურ ოჯახში გაერთიანებულ თხუთმეტ რესპუბლიკას, რომელსაც ნაცადი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს და ჩვენი ქვეყანა მიჰყავს წინ კომუნისტების სრული გამარჯვებისაკენ.

საქართველო დაიფარა სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელით. განვითარდა მეტალურგიული, ფერო-მრეწველობა. ჩვენი ქვეყანა უშვებს ასობით მანქანას, დაზვას. ჩვენმა სოფლის მეურნეობამ და პირველ რიგში, მეღვინეობამ, ჩაიშ, ციტრუსებმა მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი. საქართველოს მიღწევითა ჩამოთვლა შორს წავიყვანს. შეგებით 1961 წელში თბილისის შენაძენს მშენებლობათა და ნავებობათა დარგში, ამჯერად მხოლოდ ამაზე ვილაპარაკოთ.

თბილისი ყოველთვის იყო პოეტებისა და მუსიკოსების შთაგონების უმრეტე წყარო. არა ერთი სტუმარი მოხიბლულა მისი მშენებით, ამაზე დაწერია და თქმულა ათასი რამ. მაგრამ ჭეშმარიტად გაიფურჩქნა, აშენდა და დამშენდა ჩვენი დედაქალაქი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

მარტო 1961 წელს თბილისში აშენდა და საექსპლოატა-



ციოდ გადაეცა 180.000 კვ. მეტრი ფართობი. ახალი საცხოვრებელი სახლებით შეივსო საბურთალო, ვაკე, მასივები დიდ-მისა და 26 კომისიის რაიონებში, ღრმაღლე, ლოტიკინის მისი მიდამოები, კირთვის რაიონი, ა. წერეთლის პროსპექტი. ეს საცხოვრებელი სახლები ძირითადად აშენებულია ტიპური პროექტების მიხედვით, რომელთა დამკვეთების დროსაც არქიტექტორებსა და ინჟინრებს მხედველობაში მიუღიათ წინა წლების გამოცდილება. ისინი შეეცადნენ უფრო მოსახერხებელი გაეხადათ ახალი სახლები (ოთახებისა, თუ კომუნალური სათავსოების რენტაბელური განლაგება, სავაჭრო ორგანიზაციებისათვის საჭირო ფართობების გამოყოფა, ეზოების დაგეგმარება და სხვ.).

ამ მხრივ განსაკუთრებით მიზიდველია ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები სანაპიროზე (კ. მარქსის ხიდთან — არქიტექტორები: შ. ყავლაშვილი, გ. მელაქიძე, ლ. ხარაშვილი) და ჩელიუსკინელების ხიდიდან (დამკვეთებულია კავტრანსპროექტის მიერ). ორივე სახლი მოპირკეთებულია თეთრი ქვით და გამოირჩევა მაღალი გემოვნებით. ეს სახლები იმ დიდი ანსამბლის პირშეობებია, რომელიც გენერალური გეგმით ზოლად გააყვება სანაპიროს კ. მარქსისა და ჩელუსკინელების სახელობის ხიდებს შორის. სულ მალე კ. მარქსის ხიდთან საცხოვრებელი სახლის შენობაში გაიხსნება სტერეოკინოს ახალი დარბაზი და ამით მშენებლები კიდევ ერთ კარგ სამუშაოს შესძენენ ჩვენს დედაქალაქს. ცოტა ხნის წინათ კინოთეატრ „ყაზბეგს“ შეემატა 300 ადგილიანი მეორე დარბაზი.

ახალი საცხოვრებელი რაიონების გაზრდამ, ახალი ქუჩების შექმნის აუცილებლობა გამოიწვია, რომელთა კეთილმოწყობაზე მარტო 1961 წელს 7,5 მილიონი მანეთი დაიხარჯა. სულ 1961 წელს მოასფალტებულია 690 ათასი კვადრატული მეტრი, ხოლო თბილისსა და მის ახლო მდებარე მიდამოებში დაირგო ერთ მილიონამდე მწვანე ნარგავი.

ჩვენს ქალაქში დღითი დღე მატულობს ტრანსპორტი. ამიტომ ხშირად, განსაკუთრებით ვიწრო ქუჩებში, ფერხდებოდა ტრანსპორტის მოძრაობა და ფეხით მოსიარულეებსაც დიდი დროს დაკარგვა უხდებოდათ მწვანე ნიშნის მოლოდინში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 40 წლისთავის ზეიმის დღეებში, ლენინის სახელობის მოედანზე და ბელინსკის ქუჩის გასწვრივ გაკეთდა გადასასვლელი ფეხით მოსიარულეთათვის, რამაც უზრუნველყო ამ ადგილებში მოძრაობის უსაფრთხოება.

თბილისელების საყვარელი დასასვენებელი ადგილია მთაწმინდის პლატო; მას კიდევ უფრო მიეტანა ხალხი, როდესაც გაიხსნა პლატოზე ასასვლელად ტრანსპორტის ახალი სახე — საბავირო გზა.

ტრანსპორტის ამ სახემ მეტად გაამართლა თავისი დანიშნულება და საბჭოთა საქართველოს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გაიხსნა კიდევ ერთი საბავირო გზა, რამაც უმოკლესი მანძილით დააკავშირა საბურთალო და დიდუბე. ამ საბავირო გზის მშენებლობა მოკლე ვადაში და დიდი ენთუზიაზმით შესარულა ტრანსპორტის მთავარმა სამმართველომ (მმართველი მ. ჩიკვაიძე, არქიტექტორი თ. მიქაშაიძე, ინჟინერი ფანცულაია).

ჩვენი დედაქალაქი არც თუ ისე მდიდარია ძეგლებითა და ობელისკებით. ამ მხრივ ეს ხარვეზი თბილისის 1500 წლის ზეიმის დღეებში ნაწილობრივად შეივსო. და როგორც მაშინ

გაგეხარდა დიდი ქართველი მგოსნებისა და საზოგადო მოღვაწეების — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლები გახსნა და ამ თარიღს მიუყუთნელი ობელისკების — რუსთავეთბილისის გზაზე, თბილისის მისადგომთან სამხედრო გზაზე

ობელისკი თბილისის კარიბჭესთან





სპორტის სასახლე



კაფე „მეტრო“

დიდი ფეხბურთის დღე თბილისში „პარიშხალას“ სტადიონთან



და კახეთის გზატკეცილზე, აეროდრომთან, თაღის გახსნა, ასევე სასიხარულო იყო ამას წინათ სანაპიროზე დიდი რუსი ჰოტელის ა. ს. გრიბოედოვის ძეგლის გახსნა. ამ დღმა მწერალმა და მოქალაქემ დიდი სიყვარულის სტრუქტურები მიუძღვნა თბილისს, საქართველოს. გრიბოედოვის სკულპტურა ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან. იგი მთელი სიმაღლით არის წარმოდგენილი (მოქანდაკე მ. მერაბიშვილი, პედესტალი გ. მელქაძის), ხელში თბილისი გენიალური ქმნილება „ვიკუისაგან“ უჭირავს, ჩაფიქრებით გასცქერის მთაწმინდას, რომელიც ასე უყვარდა სიცოცხლეში და რომელიც საუკუნო სავანედ აირჩია ანდერძით.

რა დაავიწყებს ქართველ ვაგს კრწანისის ბრძოლას და ამ ბრძოლაში თავდადებული 300 არაგველის გმირობას, მაღლიერმა ქართველმა ხალხმა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპულ ვაგაყაცებს სამარადისო ძეგლი დაუდგა და მას 300 არაგველისადმი მიძღვნილი ობელისკი უწოდა (არქიტექტორი ა. ბაქრაძე), ობელისკზე გამოსახულია ბრძოლის ეპიზოდები, ქართული ორანმენტებით არის დამშვენებული და მოპირკეთებულია ცვლარის ქვით. იგი აღმართულია კირიფის რაიონში — სანაპიროსთან. მასთან მისადგომს საკმაოდ დიდი ფართობი უკავია, გემოვნებით არის გამწვანებული და, უდავოა, ეს იქნება ერთ-ერთი საყვარელი ღირსშესანიშნავი ადგილი ჩვენს დედაქალაქში.

ვინც ყოფილა სამრეწველო გამოფენაზე, არ შეიძლება თვალი არ შეეჩერებინა არქიტექტორ ლ. მამალაძის მგტად თავისებურ სკულპტურაზე, რომელსაც ავტორმა „გონების აღმადგრენა“ უწოდა. ნაშრომი გადაწყვეტილია თანამედროვე სტილში, მთლიანად ლითონისაგან არის ჩამოსხმული. მასში იგრძნობა ფორმის ის სისადავე და ჭეშმარიტი აღმადგრენა, სწრაფვა წინ, უკეთესი მომავლისაკენ, რომელიც მთლიანად ჩვენი ეპოქისათვის არის დამახასიათებელი.

დიდი შენაძენია თბილისისათვის კ. მარქსის სახელობის რეკონსტრუირებული ხიდი, რომელზეც კვლავ განახლდა მოძრაობა საბჭოთა საქართველოს საიუბილეო დღეებში (არქიტექტორები გ. მელქაძე, შ. ყავაშვილი, ინჟინერი — გ. ქარცივაძე). ხიდი მგტად სადა ფორმებშია წარმოდგენილი, არც ერთი ზედმეტი დეტალით არ არის დამძიმებული, მოპირკეთებულია გრანიტით და საკმაოდ განიერია.

ქალაქს შეემატა ორი ახალი პროსპექტი — ვაგა-ფშაველას სახელობის (ორჯონიკიძის რაიონში), მოსკოვის სახელობის (26 კომისიების რაიონში) და ავჭალის გზატკეცილი (ლენინის რაიონში). ორივე პროსპექტი ჯერ მთლიანად არ არის გაშენებული, მაგრამ მშენებლობა აქ სწრაფი ტემპით მიმდ-

ნარეობს. უახლოეს მომავალში ეს იქნება კეთილმოწყობილი და ღამაში პრისპექტები ჩვენს ქალაქში. ასევე დიდი ყურადღება ეთმობა ავტობუსის გზატკეცილს. აქ ჯაჭვივით მისდევენ ერთიმეორეს ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლები. გზატკეცილი მთლიანად ასფალტირებულია და განწყანებული.


სულ მალე თბილისს კიდევ ორი ახალი სასტუმრო შეემატება. ერთი 460 ადგილიანი ვაჟა-ფშაველას პრისპექტზე (არქიტექტორი ს. შუბლაძე) და მეორე 235 ადგილიანი სადგურთან. არქიტექტორები თ. თევზაძე და ნ. კობაძე).

მთავრდება სამშობიარო სახლის მშენებლობა კიროვის რაიონში, სომატური საავადმყოფოს მშენებლობა ლენინის რაიონში. ლ.ოტკინის მთაზე აიგო პოლიკლინიკა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით. ლენინის მოედანზე, გაიხსნა უნივერსალური მღალაზია, რომელსაც „ბავშვთა სამყარო“ ეწოდება.

წელს ჩაბარდა რამდენიმე ახალი სკოლა — მათ შორის 880 მოსწავლისათვის მე-3 მასივში (26 კომისრის სახელობის რაიონი), 880 მოსწავლისათვის პავლოვის ქუჩაზე (ორჯონიკიძის რაიონში), ლენინის რაიონში და სამგორის რაიონულ ცენტრში. 26 კომისრის სახელობის რაიონში აშენდა და საექსპლუატაციოდ გადაეცა კეთილმოწყობილი აბანო.

ქალაქს რამდენიმე კაფე და ახალი მღალაზია შეემატა. მათ შორის აღსანიშნავია „მეტრო“, „ყავა და თამბაქო“, „მეგობრობა“ და კაფე კიროვის სახელობის პარკთან. რეკონსტრუირებულ იქნა და კაპიტალურად შეკეთდა „საჩუქრების“ მღალაზია ლენინის სახელობის მოედანზე, „გასტრონომები“ — კიროვის და ლენინის ქუჩებზე. ახალი კეთილმოწყობილი „გასტრონომი“ გაიხსნა ილია ჭავჭავაძის პრისპექტზე № 54 სახლში. პავლოვისა და ოქტომბრის ქუჩებზე გაიხსნა უნივერსალის ახალი ფილიალები. კიროვის რაიონს შეემატა ახალი სასაუნუმე „ავტომატები“ და საზაფხულო პავლიონი.


ქუჩები დამშვენა ჟურნალ-გაზეთებისა და ცნობათა ბიუროების ახალმა კიოსკებმა. ტროლეიბუსის გაჩერებებთან გაჩნდნენ ღამაზად გაფორმებული დაფები, რომლებიც აუწყებენ



გარაზისხევის ქუჩა

ახალი საცხოვრებელი სახლი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე





საბავირო ვაზა დიდუბე — საბურთალოს



საგზაუბრო კიოსკი

ბენზინის ჩამოსასხმელიან



მგზავრებს გაჩერებებზე ტრანსპორტის მოსვლისა და წასვლის დროს.

რეკონსტრუირებულ იქნა და სახე იცვალა თბილისის ყველაზე დიდი წიგნების მაღაზიამ რუსთაველის პროსპექტზე გაიხსნა წიგნების მაღაზია (თვითმომსახურებისა) მარჯანიშვილის მოედანზე.

ქალაქის ნაგებობანი ძირითადად მოპირკეთებულია თეთრი ქვით, ან შუქსილია და შედგებილია მოთეთრო საღებავით. მაგრამ ამ ბოლო დროს მინდვრის ყვავილებივით აქა-იქ გამოჩნდა ცისფრად, ვარდისფრად, ყვითლად შეღებილი სახლებიც. ამ ფერადღვნებას სილამე და სინჯალის შეაქვს ქალაქის საერთო ხატოვანებაში, მაგრამ მაინც საჭიროა სიფრთხილე, ზომიერების დაცვა, რათა შედმეტად არ ავაჭრულოთ გეზომ კოლორიტული ჩვენი დედაქალაქი.

ქალაქში გამრავლდა ნეონური შუქის რეკლამები. ყურადღებას იპყრობს რეკლამა ასბინიანი სახლის თავზე (გმირთა მოედანი), რუსთაველის სახელობის და ლენინის მოედნებზე; მელიქიშვილისა და ლენინის ქუჩის გადასაკვეთთან, სადგურის მოედანზე. საჭიროა უფრო მეტად პოპულარიზებულ იქნეს რეკლამებით გაფორმება. ამასთან სასურველია, რომ ჩვენმა მხატვრებმა მეტი მომთხვენელობა და გამოხვეწებლობა გამოიჩინონ რეკლამების ფორმებისა და მათში გამოსატული შინაარსის არჩევაში.

სახე იცვალა „ქარიშხალას“ სტადიონმა. რეკონსტრუქციის შედეგად სტადიონს საშხრეთის მხრიდან დაემატა ახალი ტრიბუნები. ეს ანაკრფი ტრიბუნები განსაზღვრულია 10.000 მაყურებლისათვის. ანაკრფი ტრიბუნების უპირატესობა ის არის, რომ საჭიროებისამებრ შესაძლებელია ადგილების შემცირება და კონსტრუქციის სხვა ადგილზე გადატანა (არქიტექტორები — ი. კასრაძე, თ. აბაშიძე, ინჟ. შ. გაბაშვილი, შ. მაქასაშვილი). მთავრდება პოლიგრაფკომპინატის მშენებლობა ლენინის ქუჩაზე (არქიტექტორი ი. გ. ტარასაშვილი).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომუნისტური პარტიის საიუბილეო ზეიმის დღეებში გაიხსნა ჩვენი დედაქალაქის მშვენიერა და სიამაყე მონუმენტური სპორტის სასახლე. ეს ნაგებობა დაპროექტებულია „თბილისქალაქპროექტის“ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მიერ, რომლის ავტორები არიან — არქიტექტორები: ი. კასრაძე, ვ. დავუის-მესხიშვილი და ინიჟინი დ. ქაჯაია. ავტორებმა დაისახეს მეტად რთული ამოცანა: შეექმნათ ნაგებობა, რომელიც უპასუხებდა თანამედროვე მომთხვენელობას როგორც დაგეგმარების, ისე კონსტრუქციული და არქიტექტურული გადაწყვეტილი. ავტორებმა ბრწყინვალედ გადაჭრეს მათვე დაკისრებული მოვალეობა და ქალაქს შესძინეს უნიკალური შენობა. მას აქვს ცოკოლი და ორი მიწისზედა სათოული, დიდი დარბაზი 76x76 მეტრი ფართობით, მოედანი (28x45 მეტრი, რომელიც შესაძლებელია სურველისამებრ ხელოვნურად გაიყინოს) და ტრიბუნები მუდმივი 9305 და დამატებით 1200 ადგილით (სულ 10505 ადგილი). მაყურებელთა ადგილები განლაგებულია ოთხივე მხრიდან. დარბაზში ზაფხულობით პარტი გრილდება, ხოლო ზამთრის პერიოდში ხდება პარტის გათბობა საჭირო ტენიანობის მხედველობაში მიღებით.

მეტად სადა არქიტექტურულ ფორმებშია გადაწყვეტილი შენობის ფასადი. მის ქვედა ნაწილს ამშვენებს დიდი განის თალი, რომელიც ქმნის სინათლისა და ჩრდილის კარგ შეხვა-

მებას. ფასადის ზედა ნაწილი დამუშავებულია ჰორიზონტალური მთლიანი ზოლურებითა და შუშით, რომლებიც შენობას გარშემო აქვს შემოვლებული და რითაც იქმნება ჰორიზონტალური ჩრდილები. შენობა მთავრდება უბრალო ფორმის გვირგვინისებრი ლავგარდანით (კარნიზით), ახლოდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს შენობა უგუმბათოა, შორიდან ცქერისას კი გუმბათი უერთდება შენობის მთლიან კომპოზიციას.


მეტად საინტერესოა სპორტის სასახლის გადახურვა, რამაც ესოდენ გაუთქვა სახელი ამ ნაგებობას. შენობა გადახურულია სფერული აპკით, რომელიც იმით განსხვავდება ადრე ამუშავებული შემკვრები აპკებისაგან, რომ მთლიანად წარმოადგენს ჰორიზონტალურ რვაკუთხა რკინა-ბეტონის კონსტრუქციას, რომელთა მონტირება შესაძლებელია სარაჩოების გარეშე. აპკი დაპროექტებულია შემკვრები ფილებისაგან, რომლებიც 2-დან 4 ტონამდე იწონის.

სპორტის სასახლეში განათებაც თავისებურია. სპორტული საბიურო განათებულია სპეციალური პლაფონით, რომელიც გუმბათის ქვეშ არის განლაგებული. შესვენების დროს კი (ანტარქტებზე) განათება ხორციელდება ჭერზე სინათლის ანარეკლით.

სპორტის სასახლის საკომპლექსოს ბაზაზე, საცდელი გარსის ქვეშ შენდება საგარეოში საციგურო მოედანი, რითაც საშუალება მიეცება მოციგურავეებს, მთელი წლის განმავლობაში ივარჯიშონ და სპორტის ეს სახეც განავითარონ და განამტკიცონ ჩვენში.

დღეს, როდესაც ვემშვიდობებით 1961 წელს და გულდიად ვეძებებით ახალ 1962 წელს, თბილისის მშენებლებს ნამდვილად ამაყად შეუძლიათ მოიგონონ გასული წლის შრომით შედეგები. მათ პირნათლად შეასრულეს აღებული ვალდებულებანი. მაგრამ საბჭოთა ადამიანებს არ სჩვევიათ მიღწეულით დაკმაყოფილება. წინ ხომ უამრავი რამ არის გასაკეთებელი. და იმისათვის, რომ განხორციელდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომ სინამდვილე იქცეს კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარი პროგრამა და აშენდეს კომუნისში ჩვენს ქვეყანაში — დღეს მეტი უნდა გაკეთდეს, ვიდრე გუშინ, ხვალ კი კიდევ უფრო მეტის გაკეთება მოგვეთხოვება.

ასეთია საბჭოთა ადამიანების ნება!



საბაგირო გზა ფუნქციონირის პლატოზე  
ფოტოები ა. ბალაბუეცისა და პ. შევჩენცისი

ახალი საცხოვრებელი სახლები დიღმის მასივზე









## ელისო ვირსალაძის წარმატება

ქართველი საზოგადოებრიობა ინტერესით ადევნებდა თვალყურს ჩაიკოვსკის სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსისათვის საკავშირო შერჩევითი კომისიის მუშაობას. მომძე რესპუბლიკების სხვა წარგზავნილებთან ერთად ამ საპატიო ღირსების მოსაპოვებლად ქართული მუსიკალური ხელოვნების წარმომადგენლებიც „იბრძოდნენ“. მათ შორისაა ნიჭიერი ახალგაზრდა პიანისტი ელისო ვირსალაძე. კონკურსში მონაწილეთა პროგრამა მეტად რთული და მრავალფეროვანია. იგი შემსრულებლისაგან მითითებს ჭეშმარიტ მუსიკალურ მონაცემებს, დასვეწილ გემოვნებას და პროფესიული ოსტატობის მაღალ დონეს.

ასეთად წარსდგა ელისო ორმოც სხვა მონაწილეთა შორის პირველ, შესარჩევ ტურში, რომელიც შედგა მოსკოვში 1961 წლის 13 ნოემბერს. მან შესარულა ბახის პრელუდია და ფუგა, მოცარტის სონატა, სკრიაბინის, რახმანინოვის, შოპენის, ლისტის ეტიუდები. სულ რაღაც 4-5 დღეში მან ბრწყინვალედ დასძლია კონკურსის პროგრამაში შემავალი საჯალდებულო ნაწარმოები ჩაიკოვსკის „დუმკა“.

და აი, კვლავ ახალი სიმაღლის დაპყრობა — მეორე ტური. შერჩეულ 20 მონაწილეთა შორის ელისო ვირსალაძეც ამჟღავნებს მაღალ პიანისტურ ხელოვნებას. პროგრამა გაცილებით გატარულდა — ლისტი, ჩაიკოვსკი, შოსტაკოვიჩი, პროკოფიევი — მაგრამ გამარჯვების მოპოვების სიდიადე ხომ მხოლოდ და მხოლოდ სინძლეების დაუფლებასა და დაპყრობაშია. კონკურსის ფიურში, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ საბჭოთა კავშირის მოწინავე მუსიკოსები — აწ გარდაცვლილი ვოლდენგეიზერი, ფლიერი, ტუსკია, ვიგნერი, სერებრიაკოვი და სხვანი — მაღალი შეფასება მისცა ელისოს ხელოვნებას. მაგრამ პიანისტმა უცის, რომ ამით დაკმაყოფილება არ შეიძლება. 1962 წლის თებერვალში გაიმართება უკანასკნელი მესამე ტური სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. ეს იქნება თავისებური ტრამპლინი იმ დიდი მუსიკალური ასპარეზობისა, რომელიც საბჭოთა კავშირში გაიმართება ჩაიკოვსკის სახელობის II საერთაშორისო კონკურსზე.

# საქართველოს დედაქალაქში

ივორ ნეენი

1.

შემოდგომის ავი დარბობთ გა-  
მოწვევებს უზრობამ მომპანცველ  
და მძიმე საავალად აქცია საქართველოს  
სამხედრო გზა. ციოდა, —  
მიზეთ უკვე დაეთოვა. ნელა მივ-  
დიოდით; ფასანურში დაგვიღამდა  
და იქვე გავათენეთ. მე და აკაკი  
ვასაძეს (რომიელი სპეციალურად  
ამოვიდა მანქანით) ძალზე გვა-  
ფიქრებდა ის, თუ როგორ გადაი-  
ტანდა ნემიროვიჩი ამ მძიმე მოგზაურობას,  
მაგრამ ყველაფე-  
რი კეთილად დასრულდა.

თბილისში გვიან საღამოს ჩამოვედით. მივუხსლოვედი  
სასტუმრო „თბილისს“, რომლის შესასვლელში მრავალდამ-  
ხედურს მოეყარა თავი; ნემიროვიჩმა კითხვა ვასაძეს — რა-  
ტომ შეივინაობ ამდენი ხალხი სასტუმროს ახლოს.

— ესენი თქვენ დაგვხდნენ, ვლადიმერ ივანეს ძე! ნემი-  
როვიჩი შესძრა ამგვარმა ურადლებამ. როცა იგი მანქანიდან  
გამომდიოდა, ყველამ თავაზიანად დაუთმო გზა სასტუმროსა-  
კენ; მაგრამ იგი შეჩერდა, ქუდი მოიხადა და ყველას მისვალ-  
მა. ვასაძემ წარუდგინა დამხედურნი, მათ შორის, აკაკი ზორა-  
ვი, ი. თავაძე და საქართველოს თეატრალური საზოგადოებრი-  
ობის სხვა მრავალი წარმომადგენელი.

როცა ნემიროვიჩი ზორავას მიუხსლოვდა, თქვა:

— აი, ჩვენი კოლოსი!  
სასტუმროში მოემზადებინათ კარგი სამოთხიანი ნომერი,  
სადაც ნემიროვიჩი ევაკუაციის ბოლომდე ცხოვრობდა. მისივე  
თხოვნით მეც მასთან ერთად ვცხოვრობდი.

თბილისში ჩამოსვლისთანავე შეგვატყობინეს, რომ თეატრ-  
ალურმა საზოგადოებამ, ხელოვნების ორგანიზაციების პრო-  
ფესორულმა კავშირებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომელიც  
ავალდებულებდა კარგი ბინის მქონე ხელოვნების მუშაკებს  
სტუმრად მიეღოთ რომელიმე ჩამოსულთათვის. ნემიროვიჩმა  
კატეგორიულად გაილაშქრა ამის წინააღმდეგ, მან მაღლობა  
გადაუხადა ქართული ამხანაგებს, სთხოვა, საწყენად ნუ დაგ-  
რობდა ჩემი ნათესავით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება  
ვიმსეს შეწუხება, და არცაა ეს აუცილებელი. იგი ამბობდა,  
ჩვენი კოლონიის ყოველი წევრი საკმაო ხელფასს იღებს და  
შეუძლია სასტუმროს ნომრისა და ოთახის ქირის გადახ-  
და.

ასეც მოხდა: ნაწილ სასტუმროებში მოეწყვნენ. უმრავლეს-  
ობამ კი იქირადა ოთახები, რომლებიც საგანგებოდ იყო შერ-  
ჩეული ჯერ კიდევ ნაღიში ჩვენი ყოფნისას. თბილისში ყვე-  
ლაზე გვიან გაოლდენვეზურის ჯგუფი ჩამოვიდა. მისი ვარა-  
უდი, რომ მასტრატებში ჩამოგვასწრებდა, არ გამართლდა.  
ბოლოს, როგორც იქნა, ყველამ თავი მოვიყარეთ და მოვეწ-  
ყეთ. დაიწყო ევაკუაციის ერთწლიანი თბილისური პერიოდი.  
მართალია, თბილისში ჩვენი ყოფნის დასაწყისშივე კვლავ

1941-42 წ.წ. მოსკოვიდან საქართველოში ვლ. ი. ნემი-  
როვიჩი-დანიენკოს მეთაურობით ევაკუირებოდა იქნა ხე-  
ლოვნების ოსტატთა დიდი ჯგუფი. ი. წ. „ქართოს  
ფონდის“ ევაკუაცია დაეალებოდა ჰქონდა საბჭოთა  
თეატრის თეატლსაინო მოღვაწეს ივორ ნეენის.  
ის ნაწილი, რომელიც ეურნადა „საბჭოთა ხელო-  
ვნების“ წინამძღვარ ნომერში ქვეყნდება, მონაქვევითა  
ი. ნეენის მოგონებათა წიგნისა „წარსული—თავაღწი-  
და“ ეტება მოსკოველი სტუმრების უფრანს ქ. თბილისში.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტიტი

3. ა. ბლოკოვიჩი

ამოტივტივდა აზრი თითქოს საჭი-  
რო გახდებოდა ხელახალი გამგზავრე-  
ბა სამდე შორს, უფრო უსაფრთხო  
ადგილას (საქმე იმაში იყო, რომ  
თბილისის ცაზე დაფრინავდნენ  
ფაშისტთა მტვერავი თვითმფრინა-  
ვები, რამაც ერთგვარი პანიკა წარ-  
მოშვა), მაგრამ როცა ეს ნემირო-  
ვიჩმა შეიტყო, განაცხადა, არსად  
წასვლა არ მსურს, შიშისა და  
არეულობის არავითარ საფუძველს

არ გხედავო.

— გარდა ამისა, საქართველო ჩემი სამშობლოა, თბილი-  
სი ჩემი მშობლიური ქალაქი, მე აქ ვავიზარდე და ზედმეტი  
ვარ, რომ კვლავ ჩამოვედი ჩემი ყრბობის ქალაქში. არა, მე  
არსადაც არ წავალ! — ენერგიულად დაასკვნა მან.

მისმა ამ სიტყვებმა ყველანი დაამშვიდა. რაც მთავარია,  
ნემიროვიჩი აღმჩინდა მართალი — პანიკისათვის არავითარი  
სერიოზული მიზეზი არ არსებობდა!

თბილისის მიმართ ნემიროვიჩი არაჩვეულებრივი გული-  
თაღობითა და სიყვარულით იყო განმსჭვალული. რამდენი  
ძვირფასი მოგონება აკავშირებდა მას ამ ქალაქთან! გიმნაზია,  
თეატრით პირველი გატყუება, სცენისმოყვარეთა სპექტაკლე-  
ბი, მეგობრობა ა. სუბმათაშვილიან, მასთან ერთად სცენაზე  
პირველი გამოსვლისი...

ჩვენი სასტუმროს მეორე დღესვე ნემიროვიჩმა გამოითქვა  
ქალაქში გასივრების სურვილი. მას აინტერესებდა, თუ რო-  
გორი გახდა იგი, რა შეიცვალა, რა დარჩა ძველი თბილისი-  
დან. ამასთან, უტყვევლად სურდა ენახა ის სახლი, სადაც ძვე-  
ლად ცხოვრობდა. ნემიროვიჩი საგანგებოდ გამოეწყო და ჩვენ  
გამოვედით ქალაქში. მას ჰქონდა საოცრად მსუბუქი ნაბიჯი—  
ვერ წარმოიდგენდით, რომ ეს აღმამიანი 83 წლის იყო. ბევრი  
ვიათრე. ნემიროვიჩი განვიფიქრებელი და ოლტაგებული დარ-  
ჩა ქალაქის ნახვით, იკონებდა და მიამბობდა, თუ ძველად  
სად რა და როგორ იყო. მისი სახლი ჩვენ ვერ ვიპოვეთ. ად-  
გილს დაახლოვეთ მივავლეით, მაგრამ შეცვლილი იყო ქუ-  
ჩების დაგეგმვაზე, ხოლო თვით შენობა აღარსად იყო. ჩვენ  
ხიმ სამი მეთოხედი საუკუნე გვაშორებდა მისგან!

ნემიროვიჩი, თუ შეუძლოდ არ იყო, თითქმის ყოველდღი-  
ურად დასერიობდა თბილისის ქუჩებში. განსაკუთრებით უყ-  
ვარდა იმ ადგილების მონახულება, რომლებთანაც რაიმე მი-  
გონება აკავშირებდა. ერთხელ მას აკაკი ზორავამ გამოურა და  
ჩვენ ყველანი ერთად გავეშურეთ იქ, სადაც ოდესღაც გიმნაზია  
იყო. იქ იმჟამადც სკოლა იყო. შევედით ეზოში, შევჩერდით.  
ნემიროვიჩმა ბავშვობა გაიხსენა. ამ დროს სკოლიდან გამო-  
სული პედაგოგები და მოსწავლენი გარს შემოურტყნენ მას  
და ზორავას. მათ იცნეს სტუმრები, ტაშით შესხდნენ და ყვა-  
ვილები უძღვნენ. ნემიროვიჩი ადვალელებული ჩანდა, მხარდა  
შეუძნელებლად მიიწმინდა ცრემლი.

საქართველოს საბჭოთა კავშირი  
1941-42 წ.წ. მოსკოვიდან საქართველოში  
17

წამოსვლისას თქვა:

— თაობები მიდიან — თაობები მოდიან...

მორტყერ, როცა კვლავ ა. ხორავასთან ერთად ვსერი-ნობდით, ნემიროვიჩმა გადაწყვიტა მოგვეყვინა თეატრი, სა-დაც ის სუბმათაშვილთან ერთად გამოიდგა. წავედით, მაგ-რამ ვერაფერს ვერ მივაგენით. ნემიროვიჩი აშკარად შეწუხ-და!

— კი მაგრამ, — ამობდა იგი, — აი, აქ იყო თეატრი, ხოლო აქ კი — პატარა ბაღი:

მარტამ ვერც ეს ბაღი აღმოვაჩინეთ. მთელი ეს რაიონი საცხოვრებელი სასლებით იყო გაშენებული. ნემიროვიჩი ძლი-ერ შეწუხდა კიდევ. ამ დროს ეწოში ვიღაც მოხუცი ქალი შევ-ნიშნეთ. მას ვკითხეთ და მან მართლაც დადასტურა, რომ აქ ოდესღაც პატარა ბაღი იყო და მახლობლად რაღაც თეატრა-ლური შენობა.

— აი, ხომ ხედავთ, აკი ვამბობდი! — გაიხარა ნემირო-ვიჩმა.

მას ესიაშვანა, რომ მესხიერებამ არ უტყუენა. ნემიროვიჩი გამოეცაშვანა მასავით მოხუც ქალს, და ისინი დაუფარავი სიამოვნებით ახდენდნენ როგორც ურთიერთის, ასევე ჩვენს წინაშე გასული საუკუნის თბილისის მთელს ვი-თარებში თვითანი განსწავლულობის დემონსტრირებას.

როცა შინ მივბრუნდით, სასტუმროში ნემიროვიჩი მხნედ და მხიარულად გამოიყურებოდა, თითქოს ჭაბუკობის მოგო-ნებასთან ერთად მას ეწვია თვით ამ სიტუაციის რაღაც ნაწი-ლი. რუსთაველის თეატრს რომ მივუახლოვდით, მცირე ხნით შევიდით, — გვითხრა. ჩვენ ვვიჭირობდით, რომ სიარულმა დადგა, და ვთხოვეთ სხვა დროისათვის გადაედით ეს სტუმ-რობა. მან თავივი გაიტანა, და შევედით თეატრში.

ეს იყო შთაღვი დღის რეპეტიციასა და საღამოს სპექ-ტაკლს შორის. შემოვევებთ თეატრის სალიტრატურო ნაწი-ლის გამეგ პაპუნა წერიველი. თეატრის დათვალევიერების დროს სწორედ იგი ახლდა სტუმარს, მაყურებელთა დარბაზ-ში ნემიროვიჩი პირდაპირ შეიჭრა, ჭაბუკური მოხდენილობით გაიარა გასასვლელი პირველ რიგამდე და უცებ, ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად, საკამე შეხტა, შეიხედა სცენაზე, შეათვალეირა პარტეირი, ქანდაკებები. თვალები უბრწყინავდა, იგრძნობოდა, თუ რაოდენ მონებატრა თეატრი, დეკორაციები-სა და კულისების სურნელებს, ნახვევრადგანათებული ცარიე-ლი დარბაზის სამუშაო განწყობილებას.

ა. ხორავამ და პ. წერიველიმა სპექტაკლებზე მიიბაჩიყეს. — ნუ ღელავთ — თქვა მან, — მოვალ, და ხშირადც მცირე ხნის შემდეგ ნემიროვიჩმა შეასრულა დანაპირები და საღამოს მივიდა თეატრში, მიდიოდა ვ. დარასელის „ეკვი-დეტა“, შთავიარ როლს ასრულებდა ა. ვასაძე.

ავტორმა დაწერა პიესა, კომპოზიტორმა — მუსიკა, მხატვარმა შექმნა ჩინებული დეკორაციები, თეატრის მთელმა კოლექტივმა, რეჟისორის მეთაურობით, დადგა სპექტაკლი და ყველაფერი გაკეთებულია იმისათვის, რომ გამოვიჩინდეს უდიდესი შემოქმედებითი წესის ეს სკუპრდები. ეს არის თეატრის იდეალი. მაგრამ თეატრი მარტოაღენ შემოქმედებითი აღმადგინება და გენიალობის აფეთქებისაგან როდი შედგება. თეატრი არის დაწესებულება, სადაც ყოველდღიურად თამაშობენ და ამის გამო იგი საღადაც, სიძველეც თავის ნაწილში, ხელობად იქცევა. მსახიობს არ უნდა სძაგდეს ეს სიტყვა. ხელობა — ცუდი სიტყვაა როდია. ჩვენ შეგვიძლია სრულყოფილად ვგლობდეთ მას, ვიყოთ ნამდვილი ვირტუოზები. არსებობს ისეთი შემოქმედებითი ამოცანები, რომელსაც აქტიორული განწყობილება აკაცებს ამ საზოგადოდ გავრცელებულ ცნებაზე მაღლა. ეს მხოლოდ მთავარი გამოჩენის შემსრულებელ მსახიობებს როდი ეძებათ. როლი შეიძლება იყოს პატარა, — მაგრამ პატიოსანი თვალისთვის ბრწყინავდეს, ღილი დიდი როლი შეიძლება ყალბი თვალის იყოს. სწორედ ეს ბრილიანტები, თუმცა პატარა, მაგრამ პატიოსანი თვლები, ჩინებული თამაშს ქიწის ნამდვილ თეატრს.

აქ ნემროვიჩმა მოიყვანა მოსკოვის მსახიობი. ერთი პიესის როლები განაწილებს დროს მოსკოვის დიდი როლი მისცეს. მან კი მოითხოვა მეორე, პატარა როლი, ვინაიდან გრძობდა, რომ სწორედ აქ გამოავლენდა თავის შემოქმედებით ინდივიდუალობას. ასეთავე პატარა როლს თამაშობდა იგი „მეფე თედორში“, მაგრამ ეს იყო ჭეშმარიტი ბრილიანტი. და ასეთი გამაყვანის თვლები მას უამრავი ჭქონდა თავის მსახიობურ შემოქმედებაში.

ძალზე საინტერესოდ ლაპარაკობდა ნემროვიჩი რომანტისმიან და სიმბოლიზმის შესახებ თეატრში, კანონზომიერ და ცუდ პირობითობაზე, რეალისტურ სპექტაკლში ყოფნის გარდუვალ მნიშვნელობაზე. მან კიდევ ერთხელ გაიმეორა თავისი აზრი, რომ ყოველ სცენაზე მომხდარ ამბებს რაღაც სილაგზას აძლევს და ამბებს დამარწმუნებლობას თეატრის სპექტაკლს, რომელ ეპოქასაც და ლიტერატურულ სტილსაც არ უნდა ეკუთვნოდეს პიესა.

— თუ განხორციელდა ჩემი მისწრაფება, გავატარო ჩემი ხელოვნება რუსთაველის თეატრში, მე გიჩვენებთ, რომ თვით შექმნისა დადგმა შეიძლება ყოფისათვის თავაჯრიდებლად. სხვა საკითხია თუ როგორი იყო ყოველ შექმნის შემოქმედების დროს. აქ წინა პლანზე გამოდის რეჟისორის, მსახიობის, მხატვრის დანტაჟის ელემენტები, რომელიც წარგენება და სხვა მასალების გამოყენებით სწავლობს ეპოქას, წარსული ადამიანების ცხოვრებას. უნდა ვიპოვოთ ყოფის ინფერაი ნიშნები, რომელიც საკავები და ახლოებით იქნება დღევანდელი მყურებისათვის. თვით საუკუნეები დამორბეული ეპოქის ყოფაში უშეკვლად მოიძებნება ჩვენი დღევანდელი ყოფის სწავლის მრავალი მოვლეა. აი სწორედ ესენი უნდა ვეძიოთ და არ მივსწრაფოდეთ რაღაც უჩვეულისა და უცნაურისაკენ.

ნემროვიჩი ყოველთვის ხაზს უსვამდა; ყველაზე მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანი თეატრში — ეს არის მსახიობი და მისი შემოქმედება. ცხოვრებისეულობის, ნამდვილობის მოთხოვნებიდან, რომელსაც ჩვენ რეალისტურ თეატრს ვუწოდებთ, უსტადება, მცირდება იმისთან შედარებით, რაც დიდ მსახიობს შეუძლია გააკეთოს.

ამ მან გაისინა ერთი სამაგალითი შემთხვევა, რომელიც

მას მართა ერთმოლოვანთან გადახდა. ნემროვიჩი დასწრო მცირე თეატრის აღდგენილ სპექტაკლს „ტალანტები და ფრანკანისცემლები“, სახელოვანი თამაშით ქალი მამინ ორმოც წელს იყო გადამიჯერადი. მაგრამ ძველდებოდა, ჩინებულად. შეაინათვავადა თამაშობდა ასალგაზრდა სვენიას. და აი, დადგა ცენტრალური, ყველაზე შეაინათვნი მომენტი ერთმოლოვანს თამაშისა — წერილის კითხვა. როგორც ყოველთვის, იმ საღამოსაც ერთმოლოვანმა გამოვხატა კითხვობა წერილს. როცა მოქმედება დასრულდა, ნემროვიჩი გადმურა კულისებისაკენ, ერთმოლოვანს სამსახიობო საპირფარეოში.

უცებ იგი უკნებნა ნემროვიჩს:

— თქვენ მე წამიჩინეთ წერილის კითხვის მთელი სცენა.

— როგორ თუ გაგიფუჭეთ?!

— მოქმედება საღამო ხანს მიმდინარეობს, ოთახში სანთელი ანთია. მე კი წერილს უკეთესად რამაშს მომდგარი ვკითხულობ. როგორც კი თქვენ დაგინახეთ, იმ წამსვე ვიფიქრე — აი, ზის ახლა ის იქ და ვიჭრობს, — რა უნდა რამაშთან რომ მიდის, როცა ოთახში სანთელი ანთია...

სხვა დროს ნემროვიჩი უკუბრუნდა მცირე თეატრის სპექტაკლს „გული ქვა როდია“. ერთმოლოვან თანამდგომე კოსტუმში იყო გამოწყობილი. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა მისი თამაშისათვის?! ნემროვიჩი მაღლობის სათქმელად კვლავ გამოვლიდა კულისებისაკენ. და კვლავ, მოულოდნელად, ესმის ერთმოლოვანს საყვედური.

— თქვენ, ალბათ, მლანძქავდით ჩემი თანამდგომე კაბის გამო, მაგრამ მე იგი მისდებოდა...

მანვე ნემროვიჩმა მიუთხ:

— თქვენ შეგიძლიათ იყოთ ეპოქის სტილისათვის შეუფერებელ კოსტუმში, იგიხოთ წერილი სცენაზე, როცა სანთელი სცავან ანთია, და ყველაფერი ეს გაპატებებოთ...

ანალოგიური ამბავი შეემთხვა ო. სადოვსკიას. ერთი პიესის მოქმედება მოითხოვდა, რომ მსახიობი სცენის სიღრმეში მდგარ მაივანს მაყურებლისაკენ შეურშეცქევით მის-დებოდა. სადოვსკიან მიუახლოვდა ზეატრს, შეუთავლიერა იგი, აიღო სკამი, დადგა უფრო მარჯვე ადგილას და დაჯდა მაყურებლისაკენ პირმოქცეული. მაგდა სადღაც უკან დარჩა. მაგრამ თავისი თამაში, თავისი დიდებულ ხელოვნების მეოხებით, მაყურებელს დაევიწყდა და საერთოდ შეუმჩნეველი გახდა ამგვარი მიზანსცენის პირობითობა.

— მთელი ამბავი იმაშია, — დაასკენდა ნემროვიჩი, — რომ ესენი იყვნენ გრძილოვან და სადოვსკიან. დიდი ნიჭი — პირობითობის ნებას იძლეოდა; მაგრამ ეს არ უნდა ვაქციოთ წესად.

ნემროვიჩმა ილაპარაკა აგრეთვე ქართული თეატრალური კულტურის ნაციონალურ თავისებურებებზე და სასიათზე. იგი მაღალ შეფასებას აძლევდა ამ კულტურას, დიდის მოწიწებით ლაპარაკობდა ქართული ხალხის ნიჭიერებაზე და ძალზე საინტერესო პარალელი გაავლო რუსთაველის თეატრისა და სამხატვრო თეატრის შემოქმედებას შორის. საერთო მათ შორის ის არის, რომ ორივე თეატრი თავიანთი მუშაობის სათავეში აქცევენ თემს, ნაწარმოების შინაარსს და მათ უმორჩილებენ თავიანთ ფორმალურ ძიებებს. ამში ხედავდა ნემროვიჩი თეატრალური სიჯანსაღის ჭეშმარიტ მარცვლებს. ქართული თეატრის განმანსჯავებელ მხარედ კი იგი მიიჩნევდა ანალოგიულ, სამხატვრო თეატრთან შედარებით, უკიდურესად დაძაბულ, ინტენსიურ თეატრალობას. ამას

იგი სამხრეთულ ტემპერამენტს მიაწერდა, რის გამოც ქართვლები, როგორც ყველა სამხრეთელი, ბუნებით, სტიქიურად თეატრალურიაო.

— სწორედ ასეთი დინამიური თეატრალიზმა, — შენიშნავდა ნემიროვიჩი, — აკლია სამხატვრო თეატრს.

შემდეგ დასძინდა:

— თქვენ, ქართველები არა მხოლოდ თეატრალური ხალხი ხართ, არამედ ბუნებით რომანტიკოსები. ამიტომ მე უფრო შეადილება ვიფიქრო შექსპირის დადგამაზე თქვენს თეატრში, ვიდრე სამხატვრო თეატრში...

ხელოვნებისა და ლიტერატურის სხვა დარგის მუშაკებთანაც ჰქონდა შეხვედრები ნემიროვიჩს. მასთან, მაგალითად, მოდიოდა დრამატურგი შალვა დადიანი. მათ ერთად წაიკითხეს „ნაპერწყლიდან“ და დაწვრილებით გაარჩიეს იგი. ნემიროვიჩს საუბრები ჰქონდა აგრეთვე გრიბოედოვის თეატრის ხელმძღვანელებთან კ. შახ-აზიზოვთან და ა. რუბინთან, კრიტიკოს ბ. ჟუნტთან. ნემიროვიჩი ნანობდა, რომ ჩვენთან ერთად არ შეეძლო წამოსვლა ერევანსა და ბაქოში, რათა სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხის თეატრალურ კულტურას გასცნობოდა. ერევანში გამზავრების წინ ნემიროვიჩმა ყველას გვთხოვა სუნდუკიანის სახ. თეატრში გვენახა „ოტელო“ და დაწვრილებით გვეამბნა სპექტაკლიდან მიღებული შთაბეჭდილებანი მის გაგონილი ჰქონდა, რომ ოტელოს როლს ძლიერად თამაშობდა თვალსაჩინო სომეხი მსახიობი გურგენ ჯანიბეკიანი, და სურდა მის მიერ შექმნილი სახე შეედარებინა ა. ხორავას ოტელოსათვის.

ავადმყოფობამ შეუშალა ხელი განხორციელებინა მრავალი შემოქმედებითი გეგმა თვით თბილისში. საკმარისი იყო ოდნავ გამოკლებულიყო და იმ წამსვე რადიკოსათვის ემზადებოდა, სადაც მიიქქაროდა, ესმარუებოდა ყოველ მიწვევას. 1942 წლის გაზაფხულზე თბილისის კინოსტუდიას ეწვია. მასში უკვე დამთავრებული იყო „გიორგი სააკაძის“ პირ-

ველი სერია, და რეჟისორმა მ. ჭიაურელმა, სცენარის ავტორებმა ა. ანტონოვსკიანამ და ბ. ჩერნიმ სურათის განხილვაში მიაპატივეს. ნემიროვიჩი გაიტაცა სურათის მთავარი გმირის ტრაგიკულმა ისტორიამ, გმირისა, რომელმაც სახალხო ომი გააჩაღა უცხო დამპყრობელთა წინააღმდეგ. დიდის ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მოქმედების დრამატულ განვითარებას. ფილმი მოეწონა. გასინჯვის შემდეგ, დიდხანს ესაუბრებოდა მის ავტორებს, აინტერესებდა ისტორიული სიძარტულე იყო თუ არა ცვრანზე ასახული ამბები, სთხოვა ა. ანტონოვსკიას, გამომიგზავნეთ რომანი „დიდი მოურავი“, რომელიც საფუძვლად დაედო ამ კინოფილმსო.

ურთი კერძო ხასიათის, შენიშვნა გააკეთა ნემიროვიჩმა იმ ეპიზოდთან დაკავშირებით, სადაც თავადი ანდუყაფარი მოიხსნის ურემზე მჯდარი, წნელით ხელში.

— ვეჭვობ, — სთქვა მან, — რომ გავლენიანმა თავადმა სამეზავროდ ურემი აირჩიოს, მას ჯიშინი ცხენი შეჭფერის.

სცენარისტმა აუხსნა სტუმარს, ლიტერატურულ სცენარში ანდუყაფარი სწორედ ასეთ ცხენზე იჯდა, მაგრამ ურემზე რეჟისორმა გადმოსვლა. ნემიროვიჩმა ღიმილით შეხედა ჭიაურელს და თავი გააკნინა.

გამომშვიდობებისას ნემიროვიჩმა თქვა, ფილმი ძალზე დროულად არის დადგმული და რომ უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ მიმართული ხალხის გმირული სული ჩვენს დროშიაც აღაფრთოვანებს ადამიანებსო.

\* \* \*

სადაც არ უნდა ყოფილიყო ნემიროვიჩი, რაც არ უნდა ეკეთებინა, რა დრო და ყურადღებაც არ უნდა დაეთმო ქართველი მეგობრებისათვის, მას არ სტოვებდა ფიქრი მიტოვებულ თეატრებზე, თავის საყვარელ, ღვიძლ თეატრებზე, — და უპირველესად, თავისი ცხოვრების უმთავრეს საქმეზე, — მოსკოვის სამხატვრო თეატრზე.

მღერის ლილი გიგელია





დათვალერიძეებელთა კვლევის სამბოთა პერიოდის განყოფილებაში

## გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ელენე მერაბიშვილი

გორი პატარა, ლამაზი ქალაქია, ისტორიული ძეგლებით მდიდარი, თავმდაბალი, სოციალისტური ყოფის მშენებელი, უბრალო, მაგრამ ძლიერი სულისკვეთების, შრომისმოყვარე ხალხის საბუდარი, მზიური საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი სამწვევლო და კულტურული ცენტრი!

გორისა და მისი მეზობელი რაიონების გმირული წარსულის ამბავი ჩვენამდე მოიტანეს არა მარტო ჟამთა აღმწერლების თხზულებებმა და შესანიშნავმა მხატვრულმა ლიტერატურამ, გულში ჩამწვდომმა ხალხურმა სიმღერებმა და წარსულის მხატვართა სურათებმა, არამედ, აგრეთვე, ამაყად აღმართულმა ისტორიულმა ნაგებობებმა და მიწის გულში მიმაღლულმა მრავლისმთქმელმა არქეოლოგიურმა ძეგლებმა, რომლებიც ჩვენს დროში ამეკვევლდნენ და გვიმღვავნებენ ჟამთა სიავის შედეგად მივიწყებულსა თუ საიდუმლოდ ქცეულ ამბებს.

აღსანიშნავია, რომ გორი და მისი მეზობელი რაიონები მდიდარია მრავალსაუკუნოვანი მატერიალური კულტურის ძეგლებით. კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარი უფლისციხე ხუროთმოძღვრების იშვიათი ძეგლთაგანია. ქართული ადრინდელი ფეოდალური ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს ატენის სიონი, რომელიც მდებარეობს თვალწარმოკლე მდინარე ტანას ხეობაში, გირიდან ათი კილომეტრის მანძილზე. გორის მიდამოებში დაინტერესებული ჩუროსტი ვერძის ვერ აუკლის ურბნისის 5-ნ საუკუნის ბაზილიკას, რუისის, სამწვერისის, წრომის, ყინწისის, იკორთისა და სხვა მრავალ ისტორიულ ძეგლს.

გარდა აღნიშნული ხუროთმოძღვრების მონუმენტური ძეგლებისა, შიდა ქართლის ტერიტორიაზე მდინარე მტკვრის შუა წელის და მის შენაკადთა ხეობების გასწვრივ ამაყად გადმოზდგარან ძველი ციხე-სიმაგრეები, საგვარეულო და სათვალთვალ კომპლექტი და სხვა თავდაცვითი ნაგებობანი.

გამოქვეყნებული წყაროების მიხედვით, საქართველოში პირველი მუზეუმი 1852 წელს დაარსებულია. საქართველოს სა-

ხელმწიფო მუზეუმი აღმოცენდა კავკასიური მუზეუმის საფუძველზე, რომლის ფუძემდებლად ითვლება ა. როინიშვილი, დღეისათვის კი საბჭოთა საქართველოში 51 მუზეუმზე მეტია. მათ შორის გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ერთ-ერთი მოწინავეთაგანია. იგი გარდა კულტურულ-საგანმანათლებლო შევრთვებით მუშაობისა, აწარმოებს ფართო სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. აქ ჩატარებული მუშაობის შედეგებმა დააინტერესა მრავალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, ცნობილი საბჭოთა მეცნიერები.


მუზეუმის სტატეგორიული და მოძრავი გამოფენები ხელს უწყობენ დამთვალერებლებს საქართველოს ისტორიის, კერძოდ, გორის წარსულისა და აწმყოს შესწავლასა და სოციალისტური შრომის მოწინავეთა გამოცდილების გაცნობაში. მუზეუმის მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი თავის სამეცნიერო-კვლევით, საექსპოზიციო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას მჭიდროდ უკავშირებს მხარის მშრომელთა წინაშე მდგომ პრაქტიკულ სადღეისო ამოცანებს.

საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოებას (ცალკე განყოფილება ჰქონდა გორში. მალე, 1935 წელს, გორის ადგილობრივმა მხარეთმცოდნეებმა იძღვინი ექსპონატი და სხვა ლაშქარე სამუშეუმი მასალა დააგროვეს, რომ შესაძლებელი გახდა აქ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსება. გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული (მამინდელი მხარეთმცოდნეობის) მუზეუმი დაარსებულა 1935 წლის ნოემბერში. ფაქტიურად სამუშეუმი მუშაობა კი 1937 წლიდან დაუწყიათ.

მუზეუმის გახსნისას გათვალისწინებულ იქნა მისი სამოქმედო ტერიტორია, რომელიც მოიცავდა გორის, საშურის, ქართლის, კასპის და მცხეთის რაიონებს (შიდა ქართლი), გორის მუზეუმი, რომელსაც 1942 წელს მიენიჭა სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სახელწოდება, თავის მუშაობას წარმართავდა ოთხი ძირითადი მიმართულებით:

1. სამეცნიერო-კვლევითი და შევრთვებითი, 2. საექსპოზი-






სვენეთში და ურბნისში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები

ცით, 3. კულტურულ-საგანმანათლებლო და 4. ადმინისტრაციულ-სამეურნეო.

1935 — 36 წლებში მუზეუმი მხოლოდ ექსპონატების შეგროვებას აწარმოებდა, რომელთა შესწავლა და მეცნიერული დამუშავება 1937 წელს დაიწყო. მაშინ მუზეუმს დირექტორობდა ს. მაკალათია.

მუზეუმმა თავისი ფონდების და სხვა მუზეუმებში დაცული მასალების გამოყენებით, შემოკრებილი აქტივის დახმარებით მოკლე დროში შეძლო რამდენიმე მეცნიერული შრომა მოემზა-

ვახტანგ VI-ის დასტურდამალი



დებინა დასაბუქდად და ჩატარებინა სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიება.

ამჟამად ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი არსებობის 25 წელზე მეტს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში ჩატარებული იქნა მთელი რიგი ღონისძიებები რევოლუციამდელი და საბჭოთა პერიოდის ისტორიისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის შესასწავლად გორსა და მის მუზოზელ რაიონებში — ხაშურში, ქარელსა და კასპში. ამის გარდა, მუზეუმი დიდ ყურადღებას უთმობს მხარის ბუნების შესწავლას, პერიოდულად აწყოებს სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ექსპედიციებს ისტორიულ-ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური და საბჭოთა პერიოდის შესწავლისათვის — საკოლმეურნეო ცხოვრების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნვებატორთა მიღწევების გასაცნობად. მუზეუმის ფონდები შეიცვალა მრავალი ათასი ახალი ექსპონატით, მათ შორის ბევრია უნიკალური.

არქეოლოგიური ექსპედიცია პირველად 1938-1940 წ. წ. მოეწყო სოფელ ტყვიავში ყორღანული სამარხების შესწავლის მიზნით, მუზეუმის ყოფილი დირექტორის, პროფესორ ს. მაკალათიას და მეცნიერ მუშაკ ს. ნადიმაშვილის ხელმძღვანელობით. ამ ექსპედიციის მიზანი იყო გათხრების საშუალებით შეიმოწმებისა, პქონდა თუ არა რაიმე კავშირი თრიალეთის უძველეს კულტურას შიდა ქართლის რაიონის ძველეთთან.

ტყვიავის ყორღანული სამარხების გათხრების შედეგად აღმოჩენილმა მასალებმა მკვლევარებს დაანახვა, რომ თრიალეთისა და შიდა ქართლის რაიონებში ყოფილა მიწათმოქმედის მოსახლეობა, რომ მათ ქქონიანი ერთიანი კულტურა, და, რომ ის ტომები წარმოადგენდნენ ქართველთა მოდგმის წინაპრებს. ისინი ჯერ კიდევ 2500 წლის წინათ (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) დაუფლებული ყოფილან ბრინჯაოს წარმოებას. ეს არის გარდამაგალი ხანის ძეგლები სპილენძის პერიოდიდან ბრინჯაოს წარმოებამდე. ამ აღმოჩენას მაღალი შეფასება მისცა აკადემიკოსმა ბ. კუჭტიმმა.

მუზეუმმა 1938 წელს მნიშვნელოვანად გაამდიდრა თავისი ფონდები. შეიძინა მწერალ სოფრომ მაგალიძის ფონდის ბიბლიოთეკა, ამასთან ერთად — ძველი ქართული მონეტები, იარაღები, ხელით ნაქარგები და სხვა მასალა. 1939 — 40 წლებში მუზეუმის თანამშრომელთა და მოწვეულ მუშაკთა მიერ, შეკრებილა იქნა ბიბლიოგრაფიული მასალები ქ. გორისა და მისი რაიონის შესახებ. აგრეთვე შეკრიბეს მასალები ქართველი ხალხოსანი მწერლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ი. მაისურაძისაგან შეიძინეს ი. გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დღიური გამოუქვეყნებელი მასალების კრებული. ს. მაკალათიამ დასაბუქდად მოაშუადა „ტყვიავის ყორღანები“, ხოლო მუზეუმის მეცნიერ მუშაკმა ს. ნადიმაშვილმა — „შიდა ქართლში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების და კოლექციების კატალოგი“.

1942 წელს შექმნილი მასალებიდან აღსანიშნავია 40 ცალი ძველი მონეტა, რომელთა შორის არის ბრინჯაოს და ვერცხლის ფულები. ყურადღებას იქცევს ერთი მონეტო ქვა, ე. წ. კოპახურის მთაში, პატარა იკლესის კედლიდან გამოღებული ქართული ასომთავრული წარწერა. სადაც დასახელებულია სამთავის ტაძრის მშენებელი ხუროთმოძღვარი ყანჩელი. ეს ქვა კასპის მცხოვრებმა გასიტაშვილმა გადასცა მუზეუმს.

შექმნილი წიგნიდან და ხელნაწერებიდან აღსანიშნავია

„ამირანდარჯანიანი“, რომელიც 1771 წელს გადაუწერია გორში მეხოვრებე ცნობილ კალიგრაფ ჩაჩიაკვილს. აქვეა ფოლკლორული მასალები, შეკრებილი ქართლში ი. მასისუ-რადისა და გ. ებრაღიძის მიერ. გამოცემულ იქნა შრომები „ღიმიტრი თავდადებული“ და „ვახტანგ გორგასალი“.

მეორე და მესამე ექსპედიციები მოეწყო 1944 — 1945 წლებში: პირველი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათისა) — ფრონის ხეობაში და მეორე — სოფელ დვანში, პროფ. ს. მაკალათიას ხელმძღვანელობით. იქ არსებული რკინის ხა-ნის სამაროვანის გათხრების შედეგად (VII—VI საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) გამოვლინდა დიდმნიშვნელოვანი მასალები, რომლებიც ასაბუთებენ, რომ იმ დროისათვის ჩვენში უკვე მისდევდნენ განვითარებულ მესაქონლეობას, რკინის წარმოებს და მევენახეობას.

1944 წელს მუზეუმის სამეცნიერო-კვლევით მუშაობა-ში ჩაებნენ მოწვეული სპეციალისტებიც — ი. მასისურაძე, მ. გერმანიშვილი და პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი. მუზე-უმის დირექტორმა სერგი მაკალათიამ ამ დროისათვის დასა-ბეჭდვად მოამზადა შრომა: „თავდაცვითი ნაგებობანი საქარ-თველოს მთიანეთში“; პროფ. მელიქსეთ-ბეგმა დაამუშავა და მოამზადა შრომა: „სომხური ეპიგრაფიკა გორის რაიონ-ში“. ი. მასისურაძემ შეკრიბა ხალხური სიტყვიერების ნიმუშე-ბი გორის რაიონზე, ხოლო გ. გერმანიშვილმა შეკრიბა და დაამუშავა „ხალხური ჩვენები სოფ. ხიდისთავსა და ატენში“.

აღნიშნულ წელს მუზეუმმა შეიძინა ეთნოგრაფიული ხასიათის 92 ექსპონატი. მათ შორის აღსანიშნავია მხატვარ ალ. მრველიშვილის სურათი „ბავშვი ლობიოს ქოთნით“ და ამაკაკის ვერცხლის ქამარი. ამავე წელს შეძინილ იქნა აგრ-ეთვე 61 პრექოლოგიური ექსპონატი, რომელთაგან უზარ-ადღესა იპრების ბრინჯაოს დანადგარული ბაღთა, ნადირ-შაპისა და თიოდის დიდი ოქროს ფულები, ერკლე მეორის სიგელი, გაცემული 1771 წელს და სხვ.

1945 წელს მუზეუმის ფონდების გამოყენებით დაამუშავ-და და დასაბეჭდად მომზადა შრომები: ს. მაკალათიას — „გორში აღმოჩენილი ნეკროპოლის დათარიღებისათვის“, მ. გაბაშვილის — „გორის მუზეუმის „დასტურლამალის“ ასალი გარანტი“, ს. ყუბანეიშვილის — „აკადემიკოს მარი ბროსეს წერილები გორელ მოღვაწეებთან“, დ. კაპანაძის — „გორში აღმოჩენილი XV საუკუნის მონეტების განიკი“.

1945 წლის 14 ოქტომბერს გორის ძველ სასაფლაოზე აღმოჩენილი თიხის კუბო (სარკოფაგი) გადმოტანილ იქნა მუზეუმში. ამავე წელს მუზეუმმა შეიძინა 55 ცალი ეთნო-გრაფიული ხასიათის ექსპონატი. მათ შორის აღსანიშნავია ზარის ნახატის მიხედვით ხელთი სპეკრი სურათი თამარ მეფისა, ქართული ტიპის ვერცხლის სურა და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალური განყოფილები-დან დიდ ყურადღებას იპყრობს ქართველი რეალისტი კლა-სიკოს ნახატების გიგო გაბაშვილის აკვარათი — ქართველი მამაკაცი ყურთმაჯებიანი კაბით სოფ. ტირჩქინისთან.

ექსპლდიცამ მშ ფოტოსურათი და ჩანახატი გააკეთა მუ-შაობის პერიოდში.

1948 წელს მოეწყო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასია-თის ექსპლდიცია ატნის ხეობაში. შესწავლულ იქნა ფეოდა-ლური საქართველოს ისტორიული ციხე-სიმაგრეები და სა-კულტო დანიშნულების უცნობი ნაგებობანი, მოსახლეობისგან ჩაიწერეს ყოფის დამახასიათებელი სხვადასხვა მასალა.



გ გაბაშვილი.

ალექსანდრე ეგაძის პორტრეტი

1949 წელს ქ. გორის ტერიტორიაზე ადმინისტრაციული სახლის მშენებლობისას და კვირნაკის მთის ფერობზე აგურის ქარხნის კარიერზე აღმოჩენილ იქნა (შემთხვევით, მიწის სამუშაოების ჩატარებისას) მიწისქვეშა სამარხები, რომლებიც განეკუთვნებიან პირველ საუკუნეებს ჩვენს წელთ-აღრიცხვამდე.

1952 წლიდან მუზეუმმა ფართოდ გაშალა საველე-სამეც-ნიერო კვლევითი და შეგროვებითი ხასიათის სამუშაოები. მუზეუმის მეცნიერმა მუშაკებმა შეაგროვეს მდიდარი მასა-ლები, რომლებიც ასახავენ როგორც ქალაქის მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის აღმავლობას. ამავე წელს მოეწყო ქ. გორის და გორის რაიონის საბჭოთა პერიოდის ისტორიის ამსახველი გამოფენა. ამასთანავე რექსპოზიცივა გაუკეთდა რევოლუციამდელი და საბჭოთა პერიოდის ისტორიის ამსახ-ველ გამოფენებს, ხოლო დიდი ოქტომბრის რევოლუციის ორ-მოცი წლისთავისათვის გაიხსნა გამზიით მთლიანი გამოფენა.

1953 წელს მოიწყო კომპლექსური ექსპლდიცია უძველეს ნაქალაქარ ურბნისსა და მის მეზობელ რაიონებში. ადგი-ლური დროის მოსახლეობის მიერ მიწის, სამუშაოების ჩატარების ღირის შემთხვევით აღმოჩენილ იქნა ნაგებობანი. ურბნისში, ე. წ. ხიზანანთ გორაზე, მუზეუმის დირექტორის ს. ნადი-რ-მაშვილის მიერ აღმოჩენილი იქნა ფეოდალური და ანტიკური ხანის ნაგებობათა ნაშთებთან ერთად ენოლოგიური პერიო-დის (სპილენძის ხანის) თიხალესილი ნაგებობის ნაწილი, მასში აღმოჩნდა იმ დროის ხანძრისაგან დახეული ზო-გიერთი ტიპის იარაღი, აგრეთვე, ხელთი ნაძერწი ჩალწეული თიხის ქვეტუელი, რომელთაგან ზოგიერთში იპოვეს სხვა-დასხვა თავთავიანი კულტურების დანახშირებულ მარცვ-ლეული, (ორი სახის ქერის, რადნიშომე სახის ხორბლის და ლობის მარცვლები). აქვე თიხის ერთ-ერთ ჩალწეულ კაოხა-ში აღმოჩნდა დანახშირებულ სახით შემონახული ორი ჯი-შის ვაზის წიპწები, რომლებიც სიძველის მიხედვით, პირვე-ლია მსოფლიოში. იგი ახალი დღესტურებია დიდი მეცნიერ-



რის ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებისა, რომ აღრინდელ საქართველოში ძველთანვე მისდევდნენ მევენახეობას და არსებობდა ვაზის მავლარია და დაბლარი სახეობა. არქეოლოგ ს. ნადიმაშვილის აზრით, აღნიშნული წიპწები მიუთითებენ ჩვენში კულტურული მევენახეობის კერის არსებობაზე უკვე მესამეასწლეულისათვის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე). აღნიშნული იქნა აგრეთვე საბუნების წარმოებისათვის გამოდანი ლითონის გადასასხმელად სამხარი ჭურჭელი (კამანაქები, საურჭლის საქშენისა და სპილენძის ნაღები წილის ნაქებები, მოდელი ცულის ყალიბისათვის, რაც დამადასტურებელია იმისა, რომ ამ დროიდანვე ქართულთა წინაპრები დაუფლებელი ყოფილან ლითონით წარმოებას.

აღსანიშნავია, რომ გორის მუზეუმის მუშაობის, გამოცდილების სხვა მუზეუმების მუშაებისათვის გაზიარების მიზნით, ქ. თბილისში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მუზეუმმეცნიერობის რესპუბლიკურ სამეცნიერო მეთოდურ კავშირში 1958 — 59 წელს დადგმული იყო საქართველოს უძველესი მიწათმოქმედებისა და მეტალურგიის ისტორიის ამსახველი მოძრავი გამოფენა.

1953 წლიდან მუზეუმი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბრძანებით, სკკპ ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებათა და მათი ხსენებითა და მათი ისტორიის შესახებ გორის რაიონის მშრომელთა მიერ შეტანილი წვლილის პროპაგანდას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სკკპ-ის შექმნის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ მუზეუმის სტაციონარულ და მოძრავ გამოფენებზე წარმოდგენილია: ჩაიხანლანუბატორები, კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელისათვის მიზრძოლი ბრძავადები, შრომის მოწინავენი და მათ შორის კომუნისტური შრომის ბრძავადირი, სოციალისტური შრომის გმირი ელენე გიგულაშვილი.

საკულტურული ცხოვრების (სოფ. ქვეშეშე), უძველესი მიწათმოქმედებისა და მეტალურგიის ისტორიის შესწავლის მიზნით ადრე მიკვლეული ნამოსახლარ-ნასოფლარების შესამოწმებლად 1955 წელს მოეწყო კომპლექსური ექსპედიცია.

1956 წელს აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის საერთო ხელმძღვანელობით ტერიფონის ველზე სოფ. ახალშენსა და სვენთის შორის მდებარე უძველესი ნასოფლარის „გუფარბერყა-ციხიაგორას“ გათხრების ჩასატარებლად მოეწყო არქეოლოგიური ექსპედიცია, რამაც მეტად საინტერესო და საყურადღებო მასალები შესძინა მეცნიერებს საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ზოგიერთი გაურკვეველი საკითხის გასაშუქებლად (მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, მეტალურგიის, მშენებლობის, მეჭურჭლეობის, სულიერი კულტურის, თავდაპირველი თეთიყაბადი ქართული კვდლის მხატვრობის, რომელთა ხმოვანებაც განისაზღვრება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამეათწლეული წლებით). ამ აღმოჩენებს და გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას დიდი შეფასება მიიქცის მოსკოვის და ლენინგრადის გამოჩენილმა მეცნიერებმა.

1956 წელს მუზეუმი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების კარგი პროპაგანდისათვის, მეტალურგიის მასალების გამომოდგენების, მეცნიერული შეს-

წავლისა და ფართო ჩვენებისათვის გახდა სრულად საქართველო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე.

დღითიდღე იზრდება მუზეუმის ექსპონატთა რაოდენობა, თუ 1957 წელს შემოვიდა 2. 042 სამეცნიერო დამზარებ მასალა და ექსპონატი, 1958 წელს შემოსულა 3. 013 ექსპონატი და დოკუმენტი, აგრეთვე 2. 046 სამეცნიერო დამზარებ მასალა. დღეისათვის მუზეუმში დაცულია 29. 804 ექსპონატი და სამეცნიერო დამზარებ მასალა, რაც საშუალებას გაძლევს. ღრმად შეისწავლოთ გორის მხარის რეკოლუციამდელი და საბჭოთა პერიოდი. აღნიშნვის ღირსია ისიც, რომ მუზეუმის დირექტორის ს. ნადიმაშვილის მიერ 22 წლის მანძილზე აღმოჩენილია 300-ზე მეტი ნასოფლარ-ნამოსახლარი და 800-მდე ყორღანული სამარხი.

მუზეუმში 1959 წელს მოაწყო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის კომპლექსური ექსპედიცია გორის რაიონის სოფ. კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“ და მის მუშობელ კოლმეურნეობებში. ექსპედიციამ შეაგროვა საყურადღებო მასალები როგორც რეკოლუციამდელი, ისე საბჭოთა პერიოდის სოფლის ყოფა-ცხოვრებაზე, გლეხთა სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაზე. განსაკუთრებით კი მიწათმოქმედებაზე და იმ რეკოლუციონერ გლეხებზე, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და საკოლმეურნეო ცხოვრების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

კვლავ გრძელდება უძველესი ნასოფლარ-ნაქალაქის „გუდამბერყა-ციხიაგორას“ — არქეოლოგიური გაწმენდით და გათხრით სამუშაოები აკადემიკოს შ. ამირანაშვილის და ს. ნადიმაშვილის ხელმძღვანელობით. აღნიშნული გათხრები გათვალისწინებულია რამდენიმე წლით.

1961 წელს ასევე ჩატარებულ იქნა მუზეუმის მიერ მესამე სამეცნიერო სესია მიძღვნილი მუზეუმის 25 წლისთავისადმი. სესიაზე გამოტანილი იყო მოხსენებები: ლ. აბაშვილის — „ქართული მწიგნობარი იესე კასპეანიშვილი“, გ. მადუაშვილის — „ტერიფონის ველის და მდინარე ლიანის ქვემო ხეობის ქართლის ზოგიერთი თავისებურებანი“ და სხვ. შრომები წაკითხეს შ. ხუციშვილმა, ს. მაკალათიამ და ს. ნადიმაშვილმა.

მუზეუმის მეცნიერ მუშაობისა და მოწვეული სპეციალისტების მიერ დასაბეჭდად მომზადებულია სხვადასხვა ხასიათის 37-ზე მეტი სამეცნიერო შრომა და მასალა.

მიუხედავად ასეთი ნაყოფიერი მუშაობისა, სამუშაოთა, რომ მუზეუმი დღემდე შეუფერებელ მცირე, ბნელ და ნესტიან შენობაში მოთავსებული, რის გამო ზიანდება თელი რიგი იშვიათი ნიმუშები, როგორც მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლებისა, ისე საბჭოთა პერიოდის ამსახველი ექსპონატები. საჭიროა მუზეუმს მიეცეს შესაფერისი ბინა. ამასთან კარგი იქნება, თუ გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შენობა, როგორც ისტორიულ-მემორიალური ნაგებობა, ექსპლუატაციისა და დაცვისათვის გადაეცემა მუზეუმს. აგრეთვე — თუ გორის ციხის ისტორიული მნიშვნელობის მიდამოებში სპეციალურად აგებულ იქნება „მუზეუმი ლია ცის ქვეშ“, რადგანაც თვით გორის ციხე იზიდავს ბევრ ჩამოსულ საბჭოთა და უცხოელ მოგზაურს. ვფიქრობთ, გორის ციხე ჩართული უნდა იქნეს მუზეუმის ექსპონატიაში.

# ს ი მ ა რ თ ლ ი ს ბ ზ ი თ

## ეთერი გუგუშვილი

მზარული, მუდამ წინმსწრაფი, უსაზღვრო იუმორით და სულიერი გულთამბილობით აღსავსე შემოვიდა იგი, თენგიზ კანდინაშვილი, ჩვენს ცხოვრებაში და ასეთად დარჩა ჩვენი მხესიერებაში.

სხვანაირად მე მას არ ვიცნობდი. — რე მსურს ვილაპარაკო მასზე, როგორც ცოცხალ ადამიანზე და რაიმე სასუიშო გაზვიადებისა და ყველგვარი კომპრომისის ნატამალის გარეშე. მსურს შევეკამათო და დავეთანხმო მას, სისარულს მივეცე მისი წარმატებების გამო და გაგაკრიტიკო მისივე შეცდომებით. თვითონ იგი ვერ მოითმენდა თავისი ნამუშევრის სხვაგვარ შეფასებას, როგორც საერთოდ ვერ ითმენდა ყველგვარ შემწინებლობას, ვინაიდან საკუთარი თავისა და თავისი მუშაობის მიმართ იგი ძალზე მომთხზენი იყო. რგი ფაქტად გრძობდა სიმართლეს და ასეთ დროს იტყობდა ხოლმე „ნუ თვალმამკვირ“. მან ყოველთვის იცოდა სად იყო ძლიერი და სად ელოდა წარუმატებლობა.

ამის გრძობა მინიჭებული აქვს ადამიანს, ვისაც ესმის და უყვარს ცხოვრება, თავისი პროფესია, მარად წინ იყურება, ზე მიისწრაფის და ხელოვნებაში და ცხოვრებაში სიმართლის გზით მიდის.

სწორედ ასეთი იყო თენგიზ კანდინაშვილი.

\* \* \*

მე მასთვის ორმოციანი წლების დასასრულის და ორმოცდაათიანის დასაწყისის მოსკოვი. ომისაგან მიყენებული ჭრილობათა კვალი თითქმის გამქრალიყო. მოსკოვი შენდებოდა. უფრო მეკეთრად იხაზებოდა ცადატყორცნილი სახლების დიდებული კოშკებით გვირგვინდადგმული მისი პროფილი. სწორედ ამ განახლებულ დედაქალაქს უკავშირდება ასოციაციით ჩემი მოგონებანი სწავლის დღეთა, ჩემი თანამემამულე მეგობრებისა და თანატოლთა გამო. ეს თაობა მაშინ მხოლოდ ფრთხვს ისწორებდა და შემოქმედებითი გეგმებითა და ჩანაფიქრებით აღსავსე ცხოვრების გზაზე გამოსასვლელად ემზადებოდა. იმ წლებში კინო-ინსტიტუტის სტუდენტებმა რვაჯერ ჩხუბი და თენგიზ აბულაძემ ჯერ არ უწყოდნენ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მსოფლიოს გააოცებდნენ „მადანას ლურჯათი“, საექვთა, მარინე იაშვილს ეფიქროს, რომ ორიოდ წლის შემდეგ იგი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი გახდებოდა, გიორგი მარგველაშვილს და გურამ ასათიანს იმხანად ჯერ არ დაეწერათ არც ერთი წიგნი, ხოლო სულსან ცინცაძე მოსკოვის კონსერვატორიის მოკრძალებული სტუდენტი იყო და საერთო საცხოვრებლის კედლებში ქმნიდა თავის კვარტეტს, რის გამოც მან მალე მაღალი ჯილდო მიიღო. აქ, ამ მოსკოვში იწყებდნენ თავიანთ გზას კომპოზიტორები ე. ექსანინიშვილი და კ. თუმანიშვილი, ჰიანისტი თენგიზ ამირაჯიბი, რეჟისორები ი. კაკულია, გ. გელვანი, გ. ვასაძე, შ. ქარუხინიშვილი, ე. გელევანიშვილი, მ. გიგიშყრელი, კინომახიობის ლია ელიავა, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსა-

ხიობი ე. ანდრონიკაშვილი, კინოოპერატორები დ. მესხიშვილი, გ. კალატოზიშვილი, ისტორიკოსი გ. მარგანი, ექიმი კ. გეგელაშვილი და სხვანი, რომლებიც ფართოდ არიან ცნობილი ჩვენს რესპუბლიკაში, ხოლო ზოგიერთმა მათგანმა შორს გაითქვა კიდევ სახელი.

ასალგაზრდათა ამ თაობას ეკუთვნოდა თენგიზ კანდინაშვილიც — ფრონტიდან, არმიიდან ახლად დაბრუნებული, იმხანად ლუნაჩარსკის სახ. თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტი.

თ. კანდინაშვილმა გაიარა რეჟისორული და აქტიორული ინსტიტუტის ჩინებული სკოლა სამჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ი. ზავადსკისა და რეჟისურაში და პედაგოგიკაში მისი უახლოესი თანამოსაგვრის ი. ვულფის ხელმძღვანელობით, ი. ზავადსკის მრავალი მოწაფე ჰყავდა. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ თენგიზი მისი ყველაზე საყვარელი მოწაფე იყო. ი. ზავადსკი დიდად აფასებდა მას და სჯეროდა

ჩემისორი თენგიზ კანდინაშვილი





მისი. განა ამის საუკეთესო დადასტურება არ არის ის ფაქტი, რომ ინსტიტუტის დამოაზრების შემდეგ სწორედ თენგიზი და არა სხვა რომელიმე, წაიყვანა მან თავის თეატრში — მის-კივის საბჭოს სახ. თეატრში.

აქ მან ახალგაზრდა რეჟისორის საშუალება მისცა მკვიდრად დამდგარივე ფესზე, მომარტებულეიყო, თავად ადევნებდა თვალს მის ზრდას და როცა დარწმუნდა მისი შემოქმედების „სიმტკიცეში“, მხოლოდ მაშინ გაუშვა მშობლიურ საქართველოში.

ძნელი სათქმელია, არსებობს თუ არა საერთოდ რაიმე კრიტერიუმი მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის შეფასებისას. მით უმეტეს ხელოვნებაში. არავისთვის საიდუმლოება არ წარმოადგენს, რომ სწორედ ხელოვნებაში, უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე დარგში, შემოქმედის ინდივიდუალობა თვითმყოფადობის უფლებას იძენს. მოწაფეობა ხელოვნებაში სრულიადაც არ გულისხმობს სხვის მიერ უკვე აღმოჩენილის ბრმად განმეორებას.

თენგიზ კანდინაშვილმა იცოდა ეს. მას არსად და არასდროს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მექანიკურად არ გაუმეორებია თავისი მასწავლებლის მიგნებანი. და მიუხედავად ამისა, იგი მარად და ყველგან ზაჰადსკის ერთგული მოწაფე იყო — მოწაფე არსებითში, უმთავრესი აზრითა და შინაარსით.

ზაჰადსკისაგან მან შეითვისა რეჟისურის არსის ღრმა გაგება და არასოდეს, თავისი აღმზრდელის დარად, რეჟისორობის ცნება მას არ უქცევია წმინდა გარეგნულ, გამოფიტული დახელოვნებისა და გაწაფვის საქმედ. მისთვის რეჟისურა იყო სპექტაკლის შექმნის უაღრესად მნიშვნელოვანი აქტი, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, განაპირობებს დრამატურგი-

ული ნაწარმოების სწორ ქურადაობას, ამკვიდრებს აქტიორის პრიმატს სცენურ მოქმედებაში.

თენგიზ კანდინაშვილი ყოველთვის დრამატურგთან და მსახიობთან ხელისშეწყობილი მიიღოდა. დრამატურგი კი მისი მოყვარული იყო, მსახიობი — დასასრდენი. აქტიორის შთაუწერავდა იგი თავის სანუკვარ ფიქრებს, მის მოქმედებას არ სცვიდა უცხო „შემგუებლობით“, რომელსაც სწირად ორლესულად, რეჟისორულ ხილვებად ნათლავენ.

ასე ასწავლიდა მას ზაჰადსკი — „მხატვარი“ და „ვახტანგოველი“. კ. სტანისლავსკისა და ე. ვახტანგოვის სახელობის ტრადიციებზე აღზრდილი ზაჰადსკი არა მხოლოდ თავისი პედაგოგიური რჩევებით, არამედ მთელი თავისი შემოქმედებით, შთაგონებდა მოწაფეს თვით სპექტაკლის შექმნის ფაქტისადმი სერიოზული და დაფიქრებული დამოკიდებულების აუცილებლობას. ზაჰადსკი თანაბრად არ სჯერდებოდა არც გარეგნულ ფეხტებს და არც გარეგნული სიმაართლის მიმგანებას, მას ძალუდა და ძალუდა შექმნას სცენური მოქმედების ის აუცილებელი ატმოსფერო, რომელიც წარმოშობს მართალ აქტიორულ თვითშეგრძნებებს და მკაყრებლისადმი ზუსტად და უშეცდომოდ არის გაბიზნული.

სწორედ ეს „აილო“ მისგან თენგიზ კანდინაშვილმა. მთელი თავისი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრების მანძილზე შეინარჩუნა მან ფაქიზი და გონიერი დამოკიდებულება დრამატურგული მასალის მიმართ, მისი მეშვეობით კი სცენაზე მოქმედი ადამიანის მიმართ. სპექტაკლე მუშაობისას იგი არასოდეს გამოიღოდა ნაწარმოების იდეისადმი შუალობითი კავშირის მქონე, განყენებულ დეტალებშია. შესაძლოა იგი შემცდარიყო სპექტაკლის, ცალკეული სცენებისა და მხატვრული სახეების ვადამწვეტისას, მაგრამ თავისი პრინ-

## აზიის და ავრიკის ძველებში

(ფოტოდირიდან)

### გულნარა ბანტაქე

იასონისა

ადამიანი ერთსა და იმავე ადგილებში ორჯერ მოგზაურობს: ერთხელ, როცა დადის და საკუთარი თვალთ ხედავს ყველაფერს, მეორედ — როცა შინ დაბრუნებული, იქ აღბეჭდილი სურათების ბოზნას გადახსნის. მაშინ თვალწინ ეხატება ნაცნობი ადგილები, ადამიანები, აი, ეს სურათი (1) ჩვენ იოკოჰამის პორტში გადავიღეთ. იოკოჰამა იყო აზიის პირველი

ნავსადგური, რომელსაც გემით მოგზაური საბჭოთა ტურისტები ეწვივნენ. იდგა აპრილი. წელიწადის ამ თვეს იაპონელები გაზაფხულის მოსვლას ზეიმობენ. დიდი და პატარა საკუთას-აბულბის ხეს ჩასაფრებია. იაპონური გაზეტები იტყობინებიან, რომ შაბათს „უენოს“ პარკში, იმპერატორის სასახლის წინ, გაიკვირტება საკურა. ამ დღეს აქ უამრავი ხალხი მოიყრის თავს. იაპონელები ქუჩაში ხვდებიან ერთმანეთს, აბულბის ტრეტით წეღში იღუბებიან, „აბულბის ყვავილობას“ ულოცავენ. ამ დროს ყველა ქუჩა და სახლი ყვავილებშია ჩაფლული. იოკოჰამის პორტიც აბულბის ტრეტებით მოხებატთ იაპონელებს. ფრიალებდნენ ტრანსპარანტები. ჩვენს დასახელებულ მოსულ იყო დიდი და პატარა იაპონელი. უკრავა და ქალაქის მუნიციპალიტეტის ორგესტრი. თვით ქალაქის თავიც მოსულიყო სტუმართა დასახვედრად. მას გვერდს უმწვენიებდნენ ორი იაპონელი ქალი მისაკის თავიგულეებით ხელში. ეს ქალები სილამაზის პრინციპით არიან, — ჩაგვჩურჩულა მაშინ იგორ ლატინევი („პრავდის“ კორესპონდენტი იაპონიაში). იაპონური კიშონ არც თუ იყო ისეა და მას იმეათად იცვამენ იაპონელი ქალები.

ის, ვინც სილამაზის კონკურსში გაიმარჯვებს (ასეთი ქალები არა მარტო





ციბების დასაწყისი არ შექმლო. მისთვის ყველაზე ყველაზე მალე იდგა შინაარსი, აზრი სპექტაკლში და ამ აზრის სამსახურში ჰყავდა მას ყველაფერი ჩაყენებული, უპირველესად — ადამიანი, მსახიობი.

თ. კანდინაშვილს შექმლო მუშაობა მსახიობთან და ყოველი მათგანისათვის საჭირო და აუცილებელი სიტყვების შეჩვენება. მისი რეჟისორული სიტყვა გასაგები იყო მსახიობისათვის. შემთხვევითი ხომ არ იყო, რომ თენგიზის სპექტაკლებში ხშირად წარმოიშვებოდნენ საინტერესო, მნიშვნელოვანი აქტიორული ნამუშევრები. გაეცნენთ მართა — მ. ჯაფარიძე და მოხუცი ბაბუა — ა. ომიანიძე (ა. კასონას „სხეები ზეზურად კვდებიან“), ანდა ჟერმენი (ა. ჟერის „მეიქვსე საბოლოო“), და ანა ვალტერი (ე. რეჟისორის „უკანასკნელი გაჩერება“) — ბურნისტროვას შესრულებით, თ. შვენიკის — ოლეგი, ბ. ნიკოლოზის — გენადი და თ. ბელოუსოვის — ლენა (ე. როსოვის „სისარულის ძიებაში“), ანდა ა. გომიასვილის — ბუბუია (ს. ნარინიანის „სახიფათო ასაკი“). გაეცნენთ ის ნაყოფიერი შედეგი, რაც მან მარკანიშვილის თეატრის ახალგაზრდობასთან მუშაობისას მიიღო ე. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილების“ დადგმისას. ამ სპექტაკლში ჩინებულიად გამოიჩინეს თავი თ. სხირტაძემ (ფოსონე), თ. მეღვინეთუხუცესმა (ნაპოლეონი), ლ. ანათემ (შოთა). მე აქ აღარ ვლაპარაკობ საბჭოთა ეპოქის ქართული თეატრის ისეთ მნიშვნელოვან სახეზე, როგორცაა ვერიკო ანჯაფარიძის ბებია სპექტაკლში „სხეები ზეზურად კვდებიან“, რომელიც თენგიზმა ამ სახელოვან მსახიობთან ერთად დადგა.

ჭეშმარილად, თ. კანდინაშვილი თამამად შეგვიძლია შევრაცხეთ რეჟისორთა იმ კატეგორიაში, რომლებსაც „რეჟისორ ფსიქოლოგებს“ უწოდებენ.

ეს სრულიადც არ ნიშნავს იმას, თითქმის ახალგაზრდა რეჟისორის სამოღვაწეო ასპარეზო მხოლოდ ფსიქოლოგიური დრამა იყო. პირიქით, თ. კანდინაშვილი თემატიკურად და ჟანრთობრივად ნაირნაირ ბიჭებს დადგამდა. მის რეჟურტურაში იყო გოლიდემები, ლირიკული და სატირიკული კომედიები, დრამები. მისი მუშაობის ეს სხვადასხვაობა აიკონდა ზოგიერთს. ერთ სტატიაში რეჟისორი თ. კანდინაშვილს კომედიების რეჟისორს უწოდებდა. აქ სამეტი მარტო იმაში რობია, რომ ეს განსაზღვრა არაზუსტად გამოხატავს მისი ნიჭიერების სპეციფიკას, არამედ იმაში, რომ იგი უბრალოდ, ამცირებს საკითხის არსს.

თ. კანდინაშვილი რომ მიმართავდა სხვადასხვა თემატიკისა და ჟანრის ბიჭებს, ამაში სრულიადაც არ იყო მისი შსხედულეობა გააზრებლობა ან არათანამიმოიერობა. პირიქით, პიესათა უმრავლესობას, რომელოზოაქ მუშაობთა რეჟისორი, მთელი მათი თემატიკური და ჟანრთობრივი სხვაობის მიუხედავად, ანათესავებს რაღაც საერთო საწყისი. ა. კრონის „ღრმა დაზვიერება“, კ. სიმონოვის „ერთი სიყვარულის ისტორია“, ა. ჟორის „მეიქვსე სართული“, ე. რამზაის „უკანასკნელი გაჩერება“, როსოვის „სისარულის ძიებაში“, ა. კასონას „სხეები ზეზურად კვდებიან“ — აი მის მიერ თაოგზოული პიესების ნაყოფი ნუსხა. როგორ არ ჰგანან ისინი ერთმანეთს! რა განსხვავებული აპრობები ჰყავთ მათ. მაგრამ. ამავე დრის ყვითა აქ პიესაში არის ისეთი რაოაქ. რასაკე შოოძია თადასკაროს გარაიოული თანამიმოიერობა რეჟისორისა, რომელიც სწორით მათ დაგამა. ყვითა ისინი გამსჭაოოლონი არიან ადამიანსაღმე, მისი შინაგანი სულოიერი სამყაროსაღმე ფხიშელი ყურადღებით. ვინც კი თენგიზს ახლოს იცნობდა, შეუძლია დაადსკუროს, რომ იგი ხელს არ მოჰკიდებდა ბიე-

ლამაზები უნდა იყვნენ. მათ ჭრა-კერვა უნდა ეხერხებოდეს, უნდა იცოდნენ სტენოგრაფია, ჩაის ცერემონიალი, იყვნენ სპორტმენები და სხვ.), მათ მუნიციპალიტეტი დიდ პიონარარს უნიშნავს. ასეთი „მზითვების“ შემდეგ, ისინი უკვე ადვილად თხოვდებიან. ეს „ბედქუდები“ 1961 წლის ოტოკამპის პრიზოორი ქალები იყვნენ (ისინი ქალაქის თავს მუდამ თან დაჰყავს დიდ წვეულებაზე სტუმრების შესახვედრად). სილა-მასის რეკორდმენები გემზე ამოვიდნენ. მათ თავიულები მიართვეს სტუმრებს.

ოტოკამპის მთავარი ქუჩა ვიწროა და დასაწყისში ნაკლებად ხმაურიანი. მაგრამ შემდეგ სართულს სართული თანდათან ემატება და თქვენ ხელდათ რკინაბეტონის ცთამაჯენებსაც: როგორც ფუტკრები სკაში, ირევა ავტომანქანები, დარბიან რიქშები, ველოსიპედები, რა ჯურის ადამიანს ამ შესვლები აქ.

ის იყო პორტიდან გამოვედი, რომ გზაზე შემო-

გვხვდა ბავშვიანი ქალი (სურ. № 2). მას ღარიბულად ეცვარას იზამ.—მისთვის ღმერთს არც ბედი მიუცია და არც სილა-მაზე. იქნებ, ის პროფესიონალი მათხოვარი არ იყო, მაგრამ როგორც ჩანს ძლიერ უტირს. მან ხელი გამოვიწვოდა, — დამეხმარეთო.

კრუზის შემდგომი მარშრუტი იაპონიიდან ჩინეთის გავლით ინდონეზია იყო. გზად კი ეგვატორი იყო გასასვლელი. ვისაც დედამიწის სარტყელი გაღალატავს, იმას ზღვის ომერთის რისხვაც უწვნია. ნებუტუნის ტრადიციული დღესასწაული გემზე დაუწვეყარია (სურ. № 3).



ს, რომელშიაც იგი გულით არ იგრძნობდა ადამიანურობის დვრიტის ზოგჯერ იგი ცდებოდა. გულთან ახლოს მიჰქინდა ის მასლა, რომელიც არ უპასუხებდა მის წარმოდგენას „ადამიანის სულის ცხოვრების“ შესახებ. მაშინ დგებოდა ხანა წინააღმდეგობებისა. მას არ შეეძლო საკუთარი თავის წინააღმდეგ წასვლა და ობიექტურად მარცხდებოდა. ასე მოუვიდა მას „ჭიქა წყლის“ და „დამოკლეს მასილის“ დადგმისას. მაგრამ ამათუე წყლისო.

ადამიანის ბედი! ეს მისი სპექტაკლების თავიკიდური იყო. მას უყვარდა თავისი გმირების ფსიქოლოგიის „ჭიქა“, უყვარდა მათ სულში „ჩაძვრის“ და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოეყვინა მათი სახიათის პრინციპით მომხრები. იგი მსახიობთაგან მოითხოვდა ვაწყდოდა გულწრფელობასა და გრძნობათა სიმართლეს.

რადღან დირსშესანიშნავი იყო თ. კანდინაშვილისათვის ის, რომ მან თავისი ჭაბუკობის განთიადისას მიმართა ა. კრონის „ღრმა დაზვერვას“ (1952 წ. გრიბოედოვის სახ. თეატრი).

ადვილ მისახვედრია თუ რატომ აირჩია მან, ზავდასკის მოწაფემ, თავის სადიპლომოს სპექტაკლისათვის სწორედ ეს პიესა. თენგიზ ა. კრონის პიესით იყო „შეპყრობილი“, უფრო სწორად — სამხატვრო თეატრის სპექტაკლით, სადაც დიდებულად გამოჩნდა „მხატვლების“ უნარი პიესის სიღრმეთა გახსნისა, საბჭოთა ადამიანობის ცხოვრების, შრომისათვის შემოქმედებით დამოკიდებულებისათვის ბრძოლის ჩვენებისა. დასამალი არ არის, რომ რომელიმე „ავტორიტეტში“ შეყვარებულ ახალგაზრდა რეჟისორს გაუჭირდება მიმაძევისაგან თავის დაღწევა. მაგრამ თენგიზს ამისი არ ეშინოდა. იგი გაბეძულად და მტკიცედ ძერწავდა თავის პირობებს, თემის

საკუთარი გაგებით მსჭვალავდა მას და თუ ვილაპარაკებთ რაიმეს გადმოღებაზე, ერთადერთი, რაც მან სამხატვრო თეატრისაკენ ისურვებდა, ეს იყო უნარი მიგრძეების წვდომისა და ადამიანის სულიერ წიაღში ღრმა დაზვერვის გზით სვლისა. ჭეშმარიტად — ა. კრონის პიესის სახელწოდებამ ახალგაზრდა რეჟისორისთვის სიმბოლიური აზრი შეიძინა.

ერთი შესანიშნავი დეტალი. თ. კანდინაშვილის სპექტაკლებში ყოველთვის გამოირჩეოდნენ თავიანი პროფესიონალურობით. შესალოა ისინი რადცაში არ ყოფილიყვნენ უნაკლებნი, ზოგჯერ კამათსაც კი იწვევდნენ, მაგრამ ყოველთვის იყვნენ კარგად შეკრული, მტკიცედ ნაგები დადგმები, სადაც იგრძნობდა რეჟისორ-პროფესიონალის ხელი. და თუ ჩვენ თ. კანდინაშვილის აღვიკვამთ რეჟისურაში საფეხებით ჩამოყალიბებულ ადამიანად, რომელსაც ხელოვნებაში აქვს თავისი პრინციპები, სიმპატიები და ანტიპატიები, მაშინ თამამად შეგვიძლია ვილაპარაკოთ მის რეჟისორულ ხელწერაზე. ეს ხელწერა არ იყო გაშლილი, მომძლავრებული, თვალში საცემი. დიდი, მონუმენტური, კვიკური ტილოები მისი ინდივიდუალობის სახიათს არ შეეფერებოდნენ.

თავშეუკავებლად მსიარული ცხოვრებაში, ცხოვრების მოყვარული და დაუქანცავად გონებაშეზღვილი ყოველდღიურობაში, იგი ხელოვნებაში ლირიკის, პოეტური დაფიქრებისაკენ მიილტვოდა. მის სპექტაკლებში ყოველთვის იგრძნობოდა რბილი მღერადობა, ჟღერის კამერულობა. ეს ვლინდებოდა თვით კომედიებშიც კი, რომელიც მან საკმაო რაოდენობით დადგა. შეიძლება უცნაურად გვეჩვენოს, რომ კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილების“, ა. ჟერის „მეექვსე საბოთლის“, ე. სკრიბის „ჭიქა წყლის“, ს. ნარინიანის „სახვითო ასაკის“

ზღვის ღმერთი ნებტუნი, განრისხებული და გამაგებული, რომ დაურღვიეს მყუდროება, გემზე ამოვარდნა თავისი ჯადოქრებით და მსოფლებით. გასამრჯელოს თხოულობს საშვისათვის ეკვატორს იქით. მერე მგზავრს ნითლავს, უღვთოდ ღებავს და თხუპნის ათასნაირი საღებავებით, აუზში ჰყრის და მხოლოდ ახლა ალვეს ნებტუნის დიპლომს.

**ი ნ დ ო ნ მ შ ი ა**

იავა ოცნებაა, იავა ზღაპარია, იავა სურნელოვანი



კუნძულია დამშვენებული შვიდი სამფოთი. — ასე მოვიტობროს იავაზე ინდური ეპოსი „რამაიანა“.

და მართლაც, ეს ზღაპრული კუნძული მარგალიტია ოკეანეში. ვინ მოსთვლის რამდენი ღამე უთუნებიათ პოეტებს ამ ქვეყანაში?

აქ, ერთნაირად ლამაზია ქალაქი და სოფელი. ოღონდაც სოფელი მყუდროა. თუ გსურთ ჩაწვილით ჯაპარტის რიკტმს, მის ქუჩებში უნდა იართო. აქაც მიზიბ-მორ ბ ი ა ნ მანჩანები, ლაქრიან რიქშები, ჯლოსიპოისსკიბი. დასლებზე, ჩაფიქრობაზე გამოუთიანიათ საქონილი ნილინეხილებს და ვაჭრობან.

ინდონეზიოობი ნაკლები ინკარისს როლი იჩენდენ საბჭოთა ხალ-



დადგმის ავტორზე ვლასარაკობთ როგორც ლირიკოსზე. მაგრამ შემოთქმულში არავიანო წინააღმდეგობა არ არის. იგი გრძნობდა კომედური ხანის შესანიშნავ სპეციფიკას, იუმორის თანდაყოლილ გრძნობა ჰქონდა მას და მაინც არასოდეს ბორბტად არ უსარგებელია კომედიების დადგმის ამ უფლებებით, თვითწარმოჩინების შესაძლებლობებით, კომედირის მდგომარეობათა მომხიბვლელი სიმსუბუქით. თვით ყველაზე მხიარული კომედია მისთვის ადამიანის ხასიათის, მისი ფსიქოლოგიის, მისი მსოფლმხედველობის ისეთივე შესწავლის იბიექტი იყო, როგორც ფსიქოლოგიური დრამა. კომედიების დადგმისას თ. კანდინაშვილს შეეძლო შევანარჩუნებინა აუცილებელი „სიხსილუე“ და „სიმშვიდე“, რომლებიც რეჟისორებს უაზრთ ტრიუკებისაგან იცავს, სცენური ზომიერების გრძნობას უნარჩუნებს და ხელს უწყობს მაყურებელთა დარბაზში აზრის სწორ გადაცემას.

ამ პრინციპული პოზიციებიდან უდგებოდა იგი კ. ბუაჩიძის მხიარული კომედიის სასაცილო მდგომარეობათა გადაწყვეტას, ამ პოზიციებიდან ცნობდა ა. ჟერის მსუბუქი იუმორი, როზოვის პიესის ლირიკულ-კომედური ინტონაციები და ს. ნარინიანის კომედიის მძაფრ სატერულთა.

მის მიერ მოსკოვის დრამატულ თეატრში (რეჟისორ გ. პატარაისთან თანარეჟისორობით) დადგმული კ. ბუაჩიძის „მაციერ ქალიშვილები“ დღემდე რეპერტუარში და განუხრებელი წარმატებით სარგებლობს. ამ წარმატებას ხელს უწყობს არა მხოლოდ პიესის სიტუაციათა კომედურობა, არამედ საინტერესო რეჟისურა, რომელმაც განაპირობა პიესის სწორი აღქმადობა, ნათელი აქტიურული გამომსახველობა. რეჟისორის გულმოდგინე ყურადღება ადამიანებისადმი, ადამიანის განცდების მართალი და მაქსიმალური მართებული

გამომსახველობის ძიება ეტყობოდა ამ სპექტაკლს.

ადამიანის ბედი!

ეს საკითხი ყოველთვის აღელვებდა თენგიზ კანდინაშვილს. გასაგებია, რომ კ. სიმონოვის პიესის „ერთი სიყვარული ისტორიისათვის“ მას არ შეეძლო გვერდის ავლა. ეს პიესა მან დადგა მოსკოვში, ი. ზვადაცის თეატრში. რეჟისორის სუბტი გამომსახულება ჰპოვა პიესის კამეოულმა შევრადობამ, მასში მომხდარი ამბების ინტიმურობამ და დრამატუზმმა. კ. სიმონოვის ეს პიესა თავისი წყობით, გამომსახველი ხერხებით არსებითად თ. კანდინაშვილის რეჟისორულ სელწერას უნათესავდებოდა.

შე მახსოვს ეს სპექტაკლი — გულთბილი, რბილი ლირიზმითა და პოეტური შთაგონებით აღსავსე. მახსოვს მთავარი გმირის შესრულებული ვალენტინა სეროვა. თენგიზ აღტაცებული იყო მისით, გმირი ქალის რთულ განცდათა სამყაროში მისი ფეხური წვდომით, ადამიანთა ურთიერთობის პირველსაათვის და სიწმინდის სცენური წარმოსახვით. ეს ხომ თენგიზისთვის უმთავრესი იყო. მთავალი წუბტი გაცივდა ამ სპექტაკლის დადგმოდან, მაგრამ მისი მოგონება ყოველთვის აღელვებდა თენგიზს. თავის ცხოვრებაში მას, ვკანებ ყველაზე მეტად ამ ნაშრომის გახსენება უყვარდა.

პატარა, ცხოვრებისაგან შეურაცხყოფილი კაცის ბედი აღელვებდა მას მაშინაც, როცა მან თავისი არჩევანი ა. ჟერის „მეექვსე საბრუნველ“ შეაჩერა (გრიზოტოვის სახ. თეატრი). სპექტაკლი მრავალი რეჟისორული გამონათქვამით ყო აღსავსე, მკვეთრი თამაში მანერით ასრულებდა ნ. ბურმიუსტროვა მკერცულ და ენაკვიმტ ჟერმენს, მომხდარი ამბების აზრის დრმა წვდომის მეთხებით რეჟისორმა იპოვნა ნათელი და მკვეთრი სცენური ვითარებანი. მაგრამ მთავარი იყო მოქ-

ხისადმი. სადაც კი დანიანავდნენ, თვალს მიჰკრავდნენ სტუმრებს, ჩერდებოდნენ, მოსალმებოდნენ, ხილთ სასუე კალათები შიქონდათ მათთან და ნაციონალური კერძით უმსახინძლდებოდნენ (სურ. № 4).

აი ეს კალი — მსუბუქ შლაპაში, მოკლე შარავლში — ინდონეზილი პოლიციელია, მეორე კი პორტის მუშაა. მას სურს გემზე ავიდეს და ესაუბროს საბჭოთა ქვეყნიდან ჩამოსულ ხალხს. პოლიციელმა ცივი უარით გაისტუმრა იგი — „კანონი კანონია და მე კანონს ვემორჩილებო“ (სურ. № 5).

სოფლებსა და ქალაქებში სიღარიბეს თავისი დადი დაუმჩნევია კაცისა და ქალის სახეზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, აქ ქალები ძალიან ლამაზები არიან. ყველანი ტანცენარები. აქ სოფელი გოგონაც მოხდენილად დადის. ხელები კოჭრიანი აქვს, სარწოვე გაცვეთილი, ფეხები შიშველი. დამაიჯებს მტკრიან შარავლსაზე — მაგრამ იგი მაინც იაველი დიდყოფია, რომელიც სამსხვერპლო ტაძრისაკენ მიემართება. მიდის თანაზომიერად, თავაწული, ყელყვლაობს, ირხვევა გრაციოზულად, თითქოს ლოტოსის ყვავილი დაცურავდეს უძრავ წყალზე. ინდონეზიელ ქალთა მომხიბველობის საიდუმლო შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ იქაურ ქალებს ყოველგვარი ტვირთი თავით მიაკვთ. ამით ისინი ბავშვობიდანვე ეჩვევიან გამართულ სიარულს. ლამაზები არიან ინდონეზიელი ქალები, მაგრამ თუ გასურთ იხილოთ იაველი ქალი მთელი თავისი მშვენიერებით, იგი მაშინ უნდა ნახოთ, როცა ცეკვავს (სურ. № 6).

ცეკვა აქ ყველას ეხერხება. თვით პოლიტიკური კრებებიც კი ცეკვით იხსნება. პირველად ცეკვავენ დიდი თანამდებობის ადამიანები, შემდეგ კი მათ უერთდებიან დანარჩენები.

ცეკვის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი მუსიკა — გამელანგი, ეს არის ელარუნი, დლოს დაკვრა, გუგუნი, ხმური. დამკვრელები მიწაზე სხედან ფეხებდადჯავრდინებული და ურტყამენ ქოთინის მსგავს გონჯს. გამელანჯს მიუძღვნის მონღერალი, რომელიც განუწყვეტილო გააკვირს ერთსა და იმავე პანჯს. თუმცა მოღერალი ტრადიციული სიძღვრეს ასრულებს ძველი ინდური ეპოსის „რამის“ მოტივებზე, მას მაინც მოჯადოებულები უსმენენ.





მედების ის ატომოფერო, რომელიც განისაზღვრებოდა სპექტაკლში მოქმედი გმირების სწორი თვითშეგრძნებით, გამომსახველი ხერხების ზუსტი და ძუნწი შერჩევით. გახ. „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე ვერაიო ანჯაფარიძე წერდა: „როცა მშვენივლ სათრთლს ვუკუთრებდი, გრიზოიდოვის სახ. თეატრში მე ჩემი თავი დავიჭირე იმამი, რომ ჩემს სახეს ღიმილი არ შორდებოდა. ეს მაშინ ხდებდა, როცა რაიმე სიაოიუნებს განიჭმებს“.

„...ჩემს სახეს ღიმილი არ შორდებოდა“ — არ სწორად არის ნათქვამი. სწორედ ღიმილს და არა თავაწყვეტილი სიცილს ბადებდა ეს სპექტაკლი მაყურებელში. სპექტაკლს ახლდა კეთილი, ოდნავ ხალღიანი ღიმილი. მთელი თავისი ფიქრით სვლით და მოქმედებით, რეჟისორი იღვწოდა იმისათვის, რომ მაყურებელი არა მხოლოდ სიმპათიით გამსჭვალულიყო ა. ჟერის პიესის გმირების მიმართ, არამედ თანაგრძნობით კიდევ. ამ ხელმითვარული, ოდნავ საცოდავი, ოდნავ სასაცილო, მაგრამ საერთოდ სიმპათიური, კეთილი ადამიანებისთვის, რომლებიც თავიანთი ყოფითი უიღბლობისა და დედარატების ჟამს მაინც არ კარგავენ ადამიანურ სახეს და ინარჩუნებენ სულიერ სიწმინდებს.

1936 წ. თ. კანდინაშვილმა დადგა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი „სისაიოლის ძიებაში“. როსოვის ეს პიესა შესანიშნავად პასუხობდა თენგიზის ნიჭის თავისებურებებს. მასში იყო კამერულობაც, ლირიკული მღერადობაც და დიდი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობაც. იგი გვიჩვენებდა გვეფიქრა ჩვენი თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხებზე და ყოველგვარი დიდაქტიკისაგან თავისუფალი, რეჟისორის საშუალებას აძლევდა ასდენოდა მოსაწყენ სენტენციებს.

ახლა ინდონეზიაში დიდი ბრძოლა ძველსა და ახალ მუსიკას შორის. ახალგაზრდობა ჯახს ეტანება და აქაც თანდათანობით იკიდებს ფეხს ახალი, თანამედროვე მუსიკა.

### ც ე ი ლ შ ნ ი

ციელინელები ყვებიან: ღმერთმა ადამი ციელინზე დაასახლა, ეს იმიტომ, რომ ჩვენი კუნძული ყველაზე ტუჩარ მზარეა დედამიწაზე.

ქართულ კაცს ბუნების სიმშვენიერით რას გააკვირვებ, მაგრამ აქაური ცის ხილვარდზე, ხასხასა ფოთლის ფერი გა-

ვ. როსოვი არ ცდილობს მისწვედეს მიუწვდომელს. ისევე როგორც თავის ძველ პიესებში, იგი თითქოს მსატრენის ფუნქციონირებას უწვდომელს. ისევე როგორც თავის ძველ პიესებში, იგი თითქოს მსატრენის ფუნქციონირებას უწვდომელს. ისევე როგორც თავის ძველ პიესებში, იგი თითქოს მსატრენის ფუნქციონირებას უწვდომელს.

როსოვის პიესები ურვეული ცხოვრებისეული არიან, და რაოდენ პარადოქსალურიც არ უნდა იყოს ამის თქმა, სწორედ ამაშია მათი ძირითადი სირთულე.

თუ შედაპირვნი ვისრიალებით, არ ჩავერმავედებით, თუ როსოვის წერის მშვენი მანერის მიღმა არ ვივრძობთ სიტუაციის მომხიბველ რომანტიზმს, თუ მისი გმირების გულწრფელობასა და გულთამიზლავ უბრალოებას დამტკბარ ჩიფჩიფად ვაქცევთ, მაშინ მივიღებთ მოსაწყენ, უგურულ და საყველპურ სპექტაკლს.

